ფ.გ.ლორკა

ბერნარდა ალბას სახლი

მოქმედი პირნი

ბერნარდა - 60 წლის

მარია-ხოსეფა - ბერნარდას დედა 80 წლის

ანგუსტიას - ბერნარდას ქალიშვილი 39 წლის

მაგდალენა - ბერნარდას ქალიშვილი 30 წლის

ამელია - ბერნარდას ქალიშვილი 27 წალის

მარტირიო - ბერნარდას ქალიშვილი 24 წლის

ადელა - ბერნარდას ქალიშვილი 20 წლის

პონსია - მნე ქალი 60 წლი

მსახური ქალი - 50 წლის

პრუდენსია - მათხოვარი ქალი

პირველი ქალი

მეორე ქალი

მესამე ქალი

მეოთხე ქალი

გოგონა

მოქმედება პირველი

ოთახი ბერნარდას სახლში.სქელი კედლები საგულდაგულოდაა შეღებილი.თაღებიანი კარები მოფარულია სქელი ტილოთი.წნული სკამები.სურათები,რომლებზეც აღბეჭდილია ბუნებრივი ტყეები მთაში მოსეირნე ალებით,ან ლეგენდარული მეფეების თავგადასავალი.ცივი მდუმარება მოიცავს სცენას. ფარდის აწევისას სცენა ცარიელია. მოისმის ზარების რეკა.

შემოდის მსახური ქალი

მსახური - ზარების რეკამ თავი ამატკივა

პონსია - სამი საათია რეკენ.ყველა სოფლიდან შეგროვდნენ მღვდლები. საყდარი რა მორთულია. როცა სულის მოსახსენიებელს გალობდნენ მაგდალენას გული წაუვიდა.

მსახური - ყველაზე მეტად ეგ გლოვობს.

პონსია - მარტო მაგას უყვარდა მამა. ძლივს მარტონი დავრჩით, მოდი ჭამე.

მსახური - ბერნარდამ თუ დაგინახა!

პონსია - დამინახოს, თვითონ თუ არ ჭამს ყველა შიმშილით უნდა მოვკვდეთ? საკუჭნაოში კასრი გავხსენი და ძეხვი ამოვიღე.

მსახური - პონსია,ბავშვისთვის გამატანე!

პონსია - წადი საკუჭნაოში და რამე აიღე, დღეს ვერ მიხვდებიან.

ხმა სცენის იქიდან - ბერნარდა!

პონსია - ისევ ყვირის.

ხმა - ბერნარდა!

პონსია - ახლავე მოვა. ყველაფერი კარგად დაალაგე ისე,რომ აქაურობა სულ პრიალებდეს, თორემ ბერნარდა თმას დამაწიწკნის.

მსახური - რა საშინელი ქალია!

პონსია - ტირანია. სისხლის მწოველი, მაგას შეუძლია სისხლი ამოგწოვოს და გიყუროს ნელ-ნელა როგორ კვდები და სახიდან არ მოიცილოს თავისი საზიზღრი გველური ღიმილი. მიდი,მიდი ნუ ჩერდები დაალაგე.

მსახური - მეტი რა ვქნა ხელები გადავიტყავე.

პონსია - აბა როგორ? ბერნარდა ხომ ყველაზე მთავარია, როგორც იქნა მოისვენა მაგისმა საწყალმა ქმარმა.

[ზარების რეკა ჩერდება]

მსახური - მათი ყველა ნათესავი მოვიდა?

პონსია - ამის ყველა. ქმრის ნათესავები ვერ იტანენ ბერნარდას, მოვიდნენ მიცვალებული ნახეს, პირჯვარი გადაიწერეს და წავიდნენ.

მსახური - სკამები გვეყოფა?

პონსია - გვეყოფა, არა და იატაკზე დასხდნენ. ბერნარდას მამის სიკვდილის დღიდან არცერთი სტუმარო არ ყოფილა ამ სახლში. არ უნდა, რომ ვინმემ ნახოს როგორ მართავს თავის სამფლობელოს . ისე დიდი ტკბილი ცხოვრება არც მაგას აქვს, შესაშური არაფერია.ხუთი მახინჯი ქალიშვილი ყავს და არც ერთს მზითვი არა აქვს. მარტო ანგუსტიასს, პირველ ქმრართან შვილს აქვს რაღაც. დანარჩენებს კი ბევრი მაქმანი და რამდენიმე გამხმარი ვაზი, მეტი არაფერი მემკვიდრეობით.

მსახური - ნეტა მე ვიყო მაგათსავით ღარიბი.

პონსია - მე და შენ გვაქვს ხელები შრომისთვის და ცოტა მიწა საფლავისთვის.

მსახური - ღარიბების ხვედრი მარტო ეგ მიწის ნაკვეთია.

[პონისა პოულობს ჭუჭყს]

მსახური - ლაქა ვერაფრით მოვაშორე.

[ზარები რეკენ]

პონსია - სულის მოსახსენიებელს კითხულობენ, წავალ მოვუსმენ. საშინლად მომწონს ჩვენი მღვდლის გალობა. ამას წინათ „მამაო ჩვენოს“ ისეთი წმინდა ხმით კითხულობდა გეგონება დოქში წყალი რაკრაკებსო. ძალიან კარგად გალობს,სასიამოვნო მოსამენია. მაგრამ, ისე როგორც ჩვენი ყოფილი მღვდელი გალობდა, ტყუილია ბოლოს ასე ამბობდა აამინ!

მსახური - ყელს გაუფრთხილდი.

პონსია - რაღა ყელს! სხვას არაფერს გავფრთხილებივარ. [გადის, რეკენ ზარები]

მსახური - დინ დონ! დინ დონ! ღმერთო შეუნდე მას. რეკეთ! რეკეთ! უყურეთ მოოქროვილ კუბოს სანამ მიწაში არ ჩადებენ, მაინც ყველანი მოვკვდებით. აბა ანტონიო მარია ბენავიდეს, წევხარ შენთვის ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი. ჩუმად წევხარ, ეგრე გინდა! იცხოვრე და გეყოფა. ახლა ხომ ვეღარ ამიწევ კაბას ბოსელში. [შემოდის ბერნარდა და სხვები] ვაი, ანტონიო

მარია ბენავიდეს, ვერასოდეს იხილავ ამ კედლებს, ვერასოდეს შეჭამ პურს ამ სახლში, არც ერთ მსახურს ყვარებიხარ ჩემსავით. როგორ ვიცხოვრო უშენოდ, როგორ ვიცხოვრო?

ბერნარდა - ჩუმად!

მსახური - ბერნარდა ! [ტირილით]

ბერნარდა - ცოტა სიტყვები და ბევრი საქმე. ჯობდა სახლი კარგად დაგელაგებინა, ასეთ დღეს. გადი, აქ შენი ადგილი არ არის! ღარიბები მაინც პირუტყვებს ჰგვანან, სხვა ცომისაგან არიან მოზელილები.

ქალი 1 - ღარიბებიც განიცდიან უბედურებას.

ბერნარდა - მიეცით მათ ერთი თეფში საჭმელი და ყველაფერი დაავიწყდებათ.

გოგონა - რომ იცოცხლო უნდა ჭამო. საჭმლის გარეშე მოკვდები.

ბერნარდა - შენს ასაკში, როცა უფროსები ლაპარაკობენ უნდა გაჩუმდე.

ქალი 1 - გაჩუმდი შვილო!

ბერნარდა - არ დავუშვებ ვინმემ ჭკუა მასწავლოს. დასხედით ყველა! [სხდებიან] მაგდალენა ნუ ტირი!

პრუდენსია (ქალი 2) - უკვე დაიწყეთ კალოზე მუშაობა?

ბერნარდა - დავიწყეთ გუშინ.

პრუდენსია (ქალი 3) - ცხელა.

ქალი 2 - დიდი ხანია ასეთი სიცხე არ მახსოვს.

ბერნარდა - ლიმონიანი წყალი მზადაა? [ყველა მარაოს ინიავებს, შემოდის პონსია ფოდნოსით და ჭიქებით, არიგებს]

პონსია - დიახ ბერნარდა.

ბერნარდა - კაცებსაც გაუტანე ეზოში.

პონსია - უკვე გავუტანე.

ბერნარდა - იმავე კარით გაბრუნდნენ , რომლითაც მოვიდნენ. არმინდა სახლში შემოვიდნენ.

გოგონა - ბოშა პეპე იყო საყდარში.

ანგუსტიას - ხო, ვიცი.

ბერნარდა - ის არა, დედამისი იყო. მაგან დედამისი ნახა, პეპე არავის უნახავს არც მას, არც მე.

გოგონა - მე მომეჩვენა ...

ბერნარდა - აი, მიცვალებული დარახანის ქმარი, ის მართლაც იყო. სულ დედაშენს ეტმასნებოდა, ყველამ დაინახა. [ქალები აღშფოთდებიან]. ქალები ეკლესიაში მხოლოდ ერთ კაცს უნდა ხედავდნენ - მღვდელს. და ისიც იმიტომ რომ მას კაბა აცვია. ვინც აქეთ-იქით თავს ატრიალებს, ის სამარცხვინო საქმეებზე ფიქრობს.

ქალი 1 - ბერნარდა!

პონსია - [კბილებში] თვითონ სულ გამოხმა და მაინც არც ეგ იტყოდა კაცზე უარს.

ბერნარდა - დიდება უფალ ღმერთს! [პირჯვარს იწერენ]

ყველანი - ამიერიდან და მარად! უკუნითი უკუნითამდე!

ბერნარდა - უფალო შეიწყალე, ტკბილი ძილი მოჰგვარე.

ყველა - უფალო შეიწყალე!

ბერნარდა - მიქელ-გაბრიელო სამართლის დამცველო.

ყველა - უფალო შეიწყალე!

ბერნარდა - თალნო ყოვლის მხედველნო. ხელნო ყოვლის შემძლენო.

ყველა - უფალო შეიწყალე!

ბერნარდა - უფალო მიიღე სული მონისა შენისა ანტონიო მარია ბენავიდესი და შეუნდე მას ცოდვანი მისი. [requiem aet ernam so nat ies domine]

ყველა - აამინ! [ბერნარდა დგება, ყველა მღერის]

პრუდენსია (ქალი1) - გამაგრდი და ილოცე მისი სულისთვის.

ბერნარდა - მაგდალენა, ნუ ტირი. თუ ტირილი გინდა საწოლქვეშ შეძვერი და იქ იტირე, რომ არავინ დაგინახოს, გასაგებია? [ანგუსტიასი გადის, შემოდის პონსია]

პონსია - მამაკაცებმა გამოგზავნეს სულის მოსახსენებლად.

ბერნარდა - მადლობა უთხარი და თითო ჭიქა არაყი მიართვი.

[მაგდალენა იწყებს ტირილს]

გოგონა - მაგდალენა.

ბერნარდა - [მაგდალენას] გაჩუმდი! [ქალები გადიან] წადით, წადით სახლებში. გაჭორეთ ყოველივე რაც აქ ნახეთ. ღმერთმა ქნას გავიდეს კიდევ მრავალი წელი, სანამ გეღირსებოდეთ ჩემ სახლში შემოსვლა.

პონსია - რა გინდა, თითქმის მთელი სოფელი მოვიდა.

ბერნარდა - ჰო, და რა უნდა მიხაროდეს, მოვიდნენ და მოწამლეს ჰაერი ოფლის სუნით და ჭორების შხამით.

ამელია - დედა, ნუ ამბობ ასე.

ბერნარდა - აბა მეტი რა უნდა ვთქვა ამ წყეული სოფლის წყეულ ხალხზე, სოფელზე სადაც მდინარეც კი არ ჩამოდის და ჭებიდან წყლის დალევაც კი გეშინია, ვაი თუ ვინმემ მოწამლა.

პონსია - ყველგან ნაფეხურებია.

ბერნარდა- თითქოს თხების ჯოგმა გაიარა [პონსია წმენდს]. მომეცი მარაო.

ადელა - აი აიღეთ.

ბერნარდა - განა ქვრივს ასეთი მარაო უხდება? მომეცი შავი და ისწავლე მამაშენის ხსოვნის პატივისცემა.

მარტირიო - აიღეთ ჩემი.

ბერნარდა - მერე შენ?

მარტირიო - მე არ მცხელა.

ბერნარდა - სხვა მოძებნე, დაგჭირდება.

იმ რვა წლის მანძილზე სანამ გლოვა გვექნება, ქარიც ვერ შემოაღწევს ამ სახლში. ისე ვიცხოვროთ, თითქოს აგურით ამოვაშენეთ კარი და ფანჯრები. ასე იყო მამაჩემის სახლში, ასე იყო ბაბუაჩემის სახლშიც, ასე იქნება აქაც. მანამდე კი უნდა ჰქარგოთ, მზითევი მოამზადოთ. სახლში ინახება ტილოს ოცი ნაჭერი. შეგიძლიათ მოქარგოთ ზეწრები და საბნის პირები. მაგდალენამ ჩიგინით ჰქარგოს.

მაგდალენა - ჩემთვის სულ ერთია მოქარგული იქნება თუ არა.

ადელა - შეგიძლია არც მოქარგო, ისეც გავძლებთ სამაგიეროდ შენი მზითევი უფრო მოეწონებათ.

მაგდალენა - არც ჩემსას მოვქარგავ არც თქვენსას. მე ვიცი რომ არასოდეს გავთხოვდები. რად მინდა მზითევი? მირჩევნია ფქვილით სავსე ტომრები ვზიდო წისქვილზე, ვიდრე ვიჯდე გამოკეტილი ამ დახუთულ და ბნელ ოთახში.

ბერნარდა - ქალის ხვედრი ასეთია. გამოკეტილში უნდა იჯდე.

მაგდალენა- წყეული იყოს ის დღე როცა მე ქალად დავიბადე.

ბერნარდა - აქ მე ვარ უფროსი. მამაშენთან საჩივლელად ვეღარ გაიქცევი. ქალს -ნემსი და ძაფი, კაცს- ცხენი და მათრახი. ასეა დაწესებული. [ადელა გადის]

ხმა - ბერნარდა, გამომიშვი!

ბერნარდა - [ხმამაღლა] კარგით გამოუშვით!

მოახლე - ძლივს დავაკავე, ოთხმოცი წლისაა და მაინც ღონიერია.

ბერნარდა - ბაბუაჩემს ჰგავს, ისიც ასეთი იყო.

მოახლე - სანამ აქ ხალხი იყო, პირი რამდენჯერმე ცხვირსახოცით ავუკარი. ჰყვიროდა, ძაღლის ხორცი და ჭურჭლის ნარეცხი წყალი მომეცით მაგის მეტს მაინც არაფერს მაძლევენო.

მარტირიო - მავნებელია.

ბერნარდა - ეზოში გაიყვანე. ჰაერი ჩაყლაპოს და იყვიროს რამდენიც უნდა.

მოახლე - ზარდახშიდან ბეჭდები და საყურეები ამოიღო, იძახის ვთხოვდებიო.

[გოგოები იცინიან]
ბერნარდა - გაჰყევი და თვალი ადევნე ჭასთან არ მივიდეს.

მოახლე - ნუ გეშინია, თავს არ დაიხრჩობს.

ბერნარდა - მაგიტომ არა, ჭა ღობესთან ახლოა, მეზობლები ფანჯრიდან დაინახავენ. [მოახლე გადის]

მარტირიო - დედა, ჩვენ გამოვიცვლით.

ბერნარდა - წადით ,ოღონდ შავები არ გაიხადოთ!

[შემოდის ადელა]

ბერნარდა - ანგუსტიასი სად არის?

ადელა- ჭიშკართან ვნახე. ქუჩაში იყურებოდა, კაცები ამ წუთას წავიდნენ.

ბერნარდა - შენ რა გინდოდა ეზოში?

ადელა - ვნახე ქათმებმა კვერცხი ხომ არ დადეს.

ბერნარდა - ანგუსტიასი რას უყურებდა ჭიშკართან?! კაცები ხომ უკვე წავიდნენ.

ადელა - ღობის იქით რამდენიმე კიდევ იდგა.

ბერნარდა- ანგუსტიას! ანგუსტიას!

ანგუსტიას - მეძახდით?

ბერნარდა- სად იყავი, ვის უყურებდი?

ანგუსტიას- - არავის.

ბერნარდა- შენი აზრით, წესიერი ქალიშვილი ისეთი ოჯახიდან როგორიც ჩვენია კაცებს უნდა გაეკიდოს მამამისის დამარხვიდან ერთი საათის მერე? მიპასუხე ვის უყურებდი?

ანგუსიას - მე...

ბერნარდა - დიახ, შენ!

ანგუსტიას - არავის.

ბერნარდა - ფარისეველო! [ცემს]

პონსია - ბერნარდა დამშვიდდი. [ანგუსტიასი ტირის]

ბერნარდა - მოშორდით აქედან ყველა! [გოგოები გადიან]

პონსია- უნებურად მოუვიდა. ისე კი, ცხადია არ მოიქცა კარგად. მაშინვე არ მომეწონა როცა ეზოში გაიპარა. ფანჯარასთანაც დიდხანს იდგა და უსმენდა კაცების ლაპარაკს, კაცები კი ცხადია ისეთ თემებზე საუბრობდნენ, ქალიშვილს რისი მოსმენაც არ ჭიდრება.

ბერნარდა - იმიტომაც დადიან ქელეხზე რომ ასეთ თემებზე ისაუბრონ. რაო ? და მაინც რაზე საუბრობდნენ?

პონსია - აი პაკიტა როზაზე. გუშინ საღამოს მისი ქმარი დაუბამთ, თვითონ ცხენზე შემოუსვამთ და ზეთისხილების ხეივანში წაუყვანიათ.

ბერნარდა - მერე თვითონ?

პონსია - თვითონ ძალიან კმაყოფილი ყოფილა. ამაყად მჯდარა მაქსიმილიანოს ცხენზე მკერდ მოშიშვლებული. რა არ ხდება ამ ქვეყანაზე, საშინელებაა.

ბერნარდა - და რით დამთავრდა ეს ყველაფერი?

პონსია - გასაგებია რითაც. დილით დაბრუნებულან თურმე, პაკიტა როზა ჩამოშლილი თმებით და თავზე გვირგვინით.

ბერნარდა - ნამდვილი ბოზი! ჩვენ სოფელში ბოზი მარტო ეგ არის.

პონსია - აქაური არ არის და იმიტომ, ის კაცებიც ჩამოსულები არიან. აქაურები ასე ვერ მოიქცეოდნენ.

ბერნარდა - მაგათ ოღონდ სანახაობა აჩვენე გაერთობიან და იყბედებენ.

პონსია - კიდევ ბევრ რამეს ყვებოდნენ.

[ბერნარდა შიშით აქეთ იქით იყურება]

ბერნარდა - რას?

პონსია - მრცხვენია მოყოლა.

ბერნარდა - და ჩემი ქალიშვილი ისმენდა ამას?

პონსია - ისმენდა. დიახ!

ბერნარდა- თავის მამიდებს გავს! ისეთი შტერები იყვნენ. მათ მოხიბვლას ნებისმიერი მატყუარა ახერხებდა.საშინელი ტანჯვაა ქალიშვილების წესიერ ქალებად აღზრდა. ყოველ წუთს რომ არ გეშინოდეს, ვიღაც ვიგინგარასთან გაიქცევა.

პონსია - ბერნარდა გოგონები დიდი ხანია გასათხოვრები არიან. კიდევ ნაკლებად გებრძვიან.ანგუსტიასი ოცდაათზე მეტის ხომ არის?.

ბერნარდა - ოცდაცხრამეტის.

პონსია - და ჯერ არავისთან უვლია.

ბერნარდა - არც ერთს არ უვლია და ვერც ივლიან, ისედაც კარგად გრძნობენ თავს.

პონსია - საწყენად არ მითქვამს.

ბერნარდა - ამ მხარეში ვერ იპოვი კაცს, მათ რომ შეეფერებოდეთ. რა? ხომ არ გინდა, რომ ჩემი ქალიშვილები ღატაკ გლეხებს მივათხოვო.

პონსია - იქნებ სხვა სოფელში გაათხოვო.

ბერნარდა - გავყიდო არა?

პონსია - არა, ბერნარდა, კი არ გაყიდო, გაათხოვო. თუმცა სხვა სოფლებში ღარიბებად ესენი ჩაითვლებიან.

ბერნარდა - ხმა ჩაიწყვიტე! მორჩი დაცინვას!

პონსია - შენთან ლაპარაკი არ შეიძლება. რა გჭირს, უცხოები ხომ არ ვართ?

ბერნარდა - უცხოები ვართ, შენ მემსახურები, მე ფულს გიხდი, ეს არის და ეს.

[შემოდის მოახლე]

მოახლე - დონ არტურო მოვიდა მემკვიდრეობის თაობაზე.

ბერნარდა - მოვდივარ. შენ ეზო გაათეთრე. [მოახლეს]. შენ კი, ჩემი ქმრის ნივთები ჩაალაგე. [პონსიას].

პონსია - რაღაც ღარიბებსაც მივცეთ.

ბერნარდა - არაფერი. არც ერთი ღილი. ცხვირსახოცებიც კი სახეზე რომ ეფარა. [ნელა ტრიალდება უყურებს მოახლეებს გადის]

პონსია - დასწყევლოს ღმერთმა!

მოახლე - შენ მაინც კარგად გექცევა.

პონსია - ოცდაათი წელია მაგის ზეწრებს ვრეცხავ, ოცდაათი წელია მაგის ნასუფრალს ვჭამ. ღამე არ მძინავს, როცა ახველებს. ყოველდღე მეზობლებს ვუთვალთვალებ, რომ მოვუყვე რაც მათთან ხდება. ერთი ცხოვრებით ვცხოვრობთ, ყველაფერი ვიცით ერთმანეთის შესახებ... და მაინც დაწყევლოს ღმერთმა.

მოახლე - კარგი, გეყოფა!

პონსია - მეც კარგი ძაღლი ვარ, მაშინ ვყეფ და ვიკბინები, როცა მაგას უნდა. ჩემი ბიჭები მაგის მიწაზე მუშაობენ, უკვე ცოლები ჰყავთ,მაგრამ ოდესმე მოთმინება გამომელევა.

მოახლე - და?

პონსია - მაშინ ჩავიკეტები მაგასთან ერთად და სახეში ვაფურთხებ: „ესეც შენ, ბერნარდა... ეს ამისთვის... ესეც შენ, ბერნარდა, იმისთვის“... მანამდე, ვაფურთხებ სანამ ქვებით ჩაქოლილ გველს არ დაემსგავსება. [გადიან, შემოდიან ამელია და მარტირიო]

ამელია - მიიღე წამალი?

მარტირიო - რას მიშველის?!

ამელია - თუმცა ხო მიიღე?

მარტირიო - ყველაფერს ჩემდა უნებურად, მექანიკურად ვაკეთებ.

ამელია - რაც ჩვენთან ახალმა ექიმმა დაიწყო სიარული, უკეთ გამოიყურები.

მარტირიო - ისევ ისე ვარ.

ამელია - ადელაიდა არ იყო დაკრძალვაძე, შეამჩნიე?

მარტირიო - ვიცოდი, არ მოვიდოდა. საქმრო გარეთ გამოსვლას უკრძალავს. როგორი მხიარული იყო, ახლა კი ჩამოჭკნა ფერუმარილს აღარ ისვამს.

ამელია - არც ვიცი რა ჯობია, გყავდეს საქმრო, თუ მარტო იყო?

მარტირიო - სულ ერთია.

ამელია - ღმერთო ჩემო.

მარტირიო - კაცები ისეთები არიან, ჯობია სულ არ შეხედო. ბავშვობიდან მეშინოდა მათი. მახსოვს, ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ აბამდნენ ხარებს უღელში, მძიმე ტომრებს დაათრევდნენ ყვირილით და ჩექმების ბრაგა-ბრუგით. ვფიქრობდი, ღმერთო მირჩევნია სულ არ გავიზარდო, ვიდრე რომელიმე მათგანი მომეხვიოს-მეთქი. და აი, მისმინა ღმერთმა ავადმყოფი გავიზარდე ასე რომ შემიძლია არც მეშიდოეს. (ისინი ჩემკენ არც იყურებიან).

ამელია - ნუ ამბობ მაგას, ენრიკე უმანასს ხომ მოსწონდი?

მარტირიო - ტყუილია, სულ ხალხის მოგონილია . ერთხელ შემომითვალა მოვალო, დილამდე პერანგით ფანჯარასთან ვიდექი და ის კი არ მოვიდა. მერე კი სხვა შეირთო, ჩემზე მდიდარი.

ამელია - ხო! ისეთი მახინჯია.

მარტირიო - და რა მერე რო მახინჯია?! მაგათ მიწა სჭირდებათ, საქონელი და ძაღლივით ერთგული ცოლი, რომ კარგად მოემსახუროს.

ამელია - ეჰ! მეშინია!

[შემოდის მაგდალენა]

მაგდალენა - რას აკეთებთ?

მარტირიო - ვსხედვართ. არაფერს!

ამელია - შენ?

მაგდალენა - ოთახში დავბოდიალობ. ცოტა მუხლებში გავიშალე. ვათვალიერებდი, ბებიას მოქარგულ ტილოებს. ძაღლი და ზანგი ეომება ლომს. გახსოვს, ბავშვობისას როგორ გვიყვარდა ეს სურათები? მაშინ უფრო მხიარულად ვცხოვრობდით. სოფელში ქორწილი ათი დღე გრძელდებოდა და ნაკლებად ჭორავდნენ ერთმანეთს. ახლა, ახალი წესები შემოიღეს - პატარძალი ფატას იხურავს, როგორც ქალაქში, ღვინოს ბოთლიდან სვამენ, მაგრამ ჩვენთვის არაფერი იცვლება. ჩვენ მაინც ვლპებით ოთხ კედელშუა და გარეთ ცხვირის გამოყოფის გვეშინია, რომ მეზობლებმა ჩვენზე არაფერი თქვან.

მარტირიო - ვინ იცის მაშინ რა იყო!

ამელია - ფეხსაცმელზე თასმები გაქვს გახსნილი.

მაგდალენა - არაუშავს.

ამელია - ფეხს დაადგამ,დაეცემი და მოკვდები.

მაგდალენა - არაუშავს ერთით ნაკლები დარჩებით.

მარტირიო - ადელა სად არის?

მაგდალენა - ჩაიცვა ახალი კაბა, დაბადებისდღისთვის რომ შევუკერე, გავიდა უკანა ეზოში და ყვიროდა ქათმებო, ქათმებო შემომხედეთო. მოვკვდი სიცილით.

ამელია - დედას დაენახა, მოკლავდა!

მაგდალენა - ცოდოა, ჩვენ შორის ყველაზე პატარაა და კიდევ რაღაცის იმედი აქვს. ბევრს დავთმობდი ეგ მაინც რომ ყოფილიყო ბედნიერი.

[შემოდის ანგუსტიასი]

ანგუსტიასი - რომელი საათია?

მაგდალენა - ალბათ თორმეტია უკვე.

ანგუსტიასი - უკვე?

ამელია - ჰო, ალბათ.

[ანგუსტიასი გადის, მაგდალენა ანგუსტიასზე მიუთითებს]

მაგდალენა - იცით? (იცით უკვე ყველაფერი?)

ამელია - არა.

მაგდალენა - მოყევით.

მარტირიო - არ ვიცით. რაზე ლაპარაკობ?

მაგდალენა - ორივემ ჩემზე კარგად იცით, ერთმანეთს სულ ეჩურჩულებით, სხვასთან კი სიტყვას ვერ დაგაცდევინებთ კაცი. აი, ბოშა პეპეზე გეუბნებით, არ იცით?

მარტირიო - რა?

მაგდალენა - მთელი სოფელი ამაზე ლაპარაკობს. ბოშა პეპეს ანგუსტიასი მოყავს ცოლად. გუშინ მთელი საღამო ჩვენი სახლის გარშემო ტრიალებდა. ალბათ მალე ხელსაც თხოვს.

მარტირიო - ძალიან მიხარია, კარგი ბიჭია.

ამელია - მეც.ანგუსტიასი კარგი გოგოა.

მაგდალენა - ტყუილია, სულაც არ გიხარიათ.

მარტირიო - რატომ არ გვიხარია?! რას ამბობ!

მაგდალენა - ბოშა პეპეს ანგუსტიასი როგორც ქალი რომ უყვარდეს, გამეხარდებოდა, მაგრამ მას მხოლოდ მისი ფულები მოსწონს. გასაგებია ის ჩვენი დაა, მაგრამ სიმართლე ვთქვათ - უკვე ასაკშია. ხშირად ავადმყოფობს. ჩვენ შორის ყოველთვის ყველაზე შეუხედავი იყო, ოცი წლისაც საფრთხობელას ჰგავდა, ახლა როცა ორმოცი წლის გახდა კიდევ უარესია.

მარტირიო - რას იზამ. ბედნიერება ზოგჯერ იმას ეწვევა ხოლმე ვინც მას სულ არ ელის.

ამელია - ისე, შენ მართალი ხარ. მთელი ფული მამამისმა ანგუსტიასს დაუტოვა. მამაჩემის სიკვდილის შემდეგაც დარჩა რაღაც. ჩვენს ოჯახში მხოლოდ ის არის მდიდარი, ხოდა ამიტომაც მას თხოულობენ.

მაგდალენა - ბოშა პეპე ოცდახუთი წლისაა და ის ყველაზე ლამაზი კაცია ამ მხარეში. მესმის, შენ რომ ეთხოვე ამელია, ან ადელა რომელიც მხოლოდ ოცი წლისაა. მან კი რატომღაც ანგუსტიასი აირჩია ჩვენ შორის ყველაზე შეუხედავი. (და მამამისივით საზიზღარი.)

მარტირიო - იქნებ მოსწონს!

მაგდალენა - როგორ მძულს შენი ფარისევლობა. თვალთმაქცობა.

მარტირიო - ღმერთო დამიფარე!

[შემოდის ადელა]

მაგდალენა - რაო, მოაწონე ქათმებს თავი?

ადელა - აბა რა ვაკეთო?!

ამელია - დედას დაენახე, თმებით გითრევდა.

ადელა - ისე მიხაროდა ახალი კაბა, სეირნობის დროს ვფიქრობდი ჩაცმას, მაგრამ ახლა რაღას წავალთ. მერე რა ლამაზია , ამ ქვეყნად ასეთი არავის აქვს.

მარტირიო - გეთანხმები, ლამაზი კაბაა.

ადელა - მერე როგორ მიხდება, ყველა კაბაზე მეტად, რომელიც მაგდალენას ოდესმე შეუკერავს.

მაგდალენა - ქათმებმა რაო, მოგვწონხარო?

ადელა - ძალიან, რამდენიმე რწყილიც მომართვეს, რომლებმაც ფეხები დამიკბინეს. [იცინიან]

მარტირიო - გირჩევ ეგ კაბა შავად შეღებო.

მაგდალენა - უკეთესია ანგუსტიასს აჩუქო, ჩაიცვას ბოშა პეპეს და თავის ქორწილში.

ადელა - რა, ბოშა პეპე... [თავშეკავებულად]

ამელია - რა, არ იცოდი?

ადელა - არა!

მაგდალენა - ახლა იცი.

ადელა - არ არსებობს, შეუძლებელია.

მაგდალენა - ფულს ყველაფერი შეუძლია.

ადელა - გასაგებია ვის უყურებდა ქელეხის შემდეგ რომ გავარდა და ჭიშკრის იქით იხედებოდა. [პაუზა] და ამ კაცს შეუძლია...

მაგდალენა - მას ყველაფერი შეუძლია.(პაუზა)

მარტირიო - ადელა, რაზე ფიქრობ?!

ადელა - ვფიქრობ, რომ ჩემს ასაკში ესეთი გლოვა ჯერ ადრეა. არ შემიძლია, არ მინდა შავებში ვიარო.

მაგდალენა - მიეჩვევი.

ადელა - არა, არ მივეჩვევი. არ შემიძლია ჩაკეტილ სახლში ცხოვრება. არ მინდა თქვენსავით დავჭკნე. არ მინდა ჩემი თეთრი კანი ამ ოთახებში გახმეს და დაიჭმუჭნოს. ახლავე ჩავიცვამ ჩემს მწვანე კაბას და ქუჩაში წავალ სასეირნოდ. ჰაერზე წავალ! ჰაერზე მინდა! თავისუფლება მინდა !

[შემოდის მოახლე]

მაგდალენა - ადელა! [მკაცრად]

მოახლე - საწყალი , როგორ გლოვობს მამას! [გადის]

მარტირიო - გაჩუმდი!

ამელია - ერთი ბედი გვაქვს ყველას. [ადელა მშვიდდება]

მაგდალენა - კინაღამ გაიგო ყველაფერი. [შემოდის მოახლე]

მოახლე - ბოშა პეპე მიდის ქუჩაში!

[ამელია, მარტირიო და მაგდალენა კარს მივარდებიან]

მაგდალენა - წამოდით, შევხედოთ!

მოახლე - შენ არ მიდიხარ?

ადელა - არ მაინტერესებს.

მოახლე - როცა კუთხეში მოუხვევს, ყველაზე კარგად შენი ფანჯრიდან გამოჩნდება.

[გადიან, შემოდის ბერნარდა და პონსია] [მოახლე გადის, ადელა შეყოვნდება და გადის]

ბერნარდა - წყეული მემკვიდრეობა, გამაწამა!

პონსია - ანგუსტიასს რა ბევრი ერგო!

ბერნარდა - ჰო!

პონსია - სხვებს ბევრად ნაკლები.

ბერნარდა - შენ ეს უკვე სამჯერ მითხარი, მე არ შეგეკამათე. ჰო, გაცილებით ნაკლები, აღარ მიხსენო! ანგუსტიას!

[შემოდის ანგუსტიასი, სახეზე პუდრი უსვია]

ანგუსტიასი - რა იყო დედიკო?

ბერნარდა - როგორ გაბედე ფერუმარილის წასმა? როგორ გაბედე, პირის დაბანა მამის დასაფლავების დღეს?

ანგუსტიას - ის არ იყო ჩემი მამა! მამაჩემი დიდი ხნის წინათ მოკვდა, ნუთუ აღარ გახსოვს?

ბერნარდა - ის შენი დების მამა იყო, შენი მამინაცვალი, მაგრამ მან მეტი გააკეთა შენთვის ვიდრე საკუთარმა მამამ. მისი წყალობით ახლა უფრო მდიდარი გახდები. ზრდილობის გულისთვის მაინც იგლოვე, ამ სახლს ეცი პატიცი.

ანგუსტიასი - დედა, გავალ თუ შეიძლება.

ბერნარდა - ჯერ ფერუმარილი მოიშორე, ჩუმჩუმელა! მამიდებს ასე როგორ დაემსგავსე?! [აცილებს პუდრს ძალით, ცხვირსახოცით] ახლა წადი!

პონსია - ბერნარდა! ნუ იქნები ასე მკაცრი.

ბერნარდა - დედაჩემია გიჟი, მე ჯერ არ გავგიჟებულვარ. მშვენივრად ვიცი რასაც ვაკეთებ.

[შემოდიან შვილები]

მაგდალენა - რა მოხდა?

ბერნარდა - არაფერი.

მაგდალენა - თუ ანგუსტიასის მემკვიდრეობას ეხება, შეგიძლია ყველაფერი შენ წაიღო ფული ფულთან, ისედაც ხომ ყველაზე მდიდარი ხარ!

ანგუსტიას - ენა დაიმოკლე!

ბერნარდა - თქვენ ვერ მაჯობებთ, იმედი ნუ გექნებათ. სანამ არ გამიტანენ ამ სახლიდან ფეხებით წინ, ამ სახლში მე ვარ უფროსი. მე განვკარგავ თქვენ საქციელს. [ხმაური ისმის, მარია ხოსეფა, ყვავილებით თავში]

მარია.ხოს - ბერნარდა! სად არის ჩემი მოსასხამი? მე თქვენ არაფერს დაგიტოვებთ, არც ბეჭდებს, არც ჩემ მუარის შაც კაბას, იმიტომ რომ არც ერთი თქვენგანი გათხოვდება, არც ერთი. ბერნარდა! მომეცი ჩემი მარგალიტის ყელსაბამი!

ბერნარდა - რად გამოუშვით?

მოახლე - გამომექცა. [შეშინებული]

მარია.ხოს - გამოვექეცი... იმიტომ რომ გათხოვება მინდა... მე მინდა გავყვე ლამაზ მამაკაცს ზღვისპირეთიდან. აქ ხომ კაცები ქალებს გაურბიან...

ბერნარდა - გაჩუმდი, დედა!

მარია.ხოს - არ გავჩუმდები! მე არ მინდა ამ მარტოხელა, გაუთხოვარ ქალებს ვუყურო, მაგათი გათხოვების დრო მოვიდა და გიჟდებიან საცოდავები. მე მინდა დავბრუნდე ჩემს სოფელში... ბერნარდა, მე კაცი მინდა, გათხოვება მინდა და ლაღი ცხოვრება!... მინდა დავტკბე ცხოვრებით! თავისუფლება მინდა!

ბერნარდა - ჩაკეტეთ!

მარია.ხოს - გამიშვი ბერნარდა! გამიშვი, ბერნარდა! გამიშვი, ზღვის სანაპიროზე! მე იქ გავთხოვდები! გამიშვი ზღვის სანაპიროზე! აქედან წასვლა მინდა ზღვის სანაპიროზე მინდა!

ბერნარდა - დაეხმარეთ!

მარია.ხოს- გამიშვით! ზღვის სანაპიროზე, მე იქ გავთხოვდებით. გამიშვი აქიდან წასვლა მინდა. ზღვის სანაპიროზე.

მოქმედება მეორე

თეთრად შეღებილი ოთახი ბერნარდა ალბას სახლში. მარცხენა კარი საწოლ ოთახებში გადის. ბერნარდას ქალიშვილები დაბალ სკამებზე სხედან და კერავენ. მაგდალენა ქარგავს. პონსიაც აქ არის.

ანგუსტიასი - უკვე მესამე ზეწარი გამოვჭერი.

მარტირიო - ამელიას მიეცი

მაგდალენა - ანგუსტას, პეპეს ინიციალებიც ამოგიქარგო?

ანგუსტიას - არა.

მაგდალენა - ადელა სადა ხარ? სად დაიკარგე?

ამელია - ალბათ ისვენებს.

პონსია - რაღაც ემართება, მოუსვენარი გახდა. თავის თავს აღარ გავს, სულ კანკალებს ადგილს ვერ პოულობს.

მარტირიო - იგივე ემართება რაც ჩვენ ყველას, განსაკუთრებული არაფერი.

მაგდალენა - ყველას ანგუსტიასის გარდა.

ანგუსტიასი - მე კარგად ვგრძნობ თავს. ვისაც შურს გასკდეს ბოღმისგან.

მაგდალენა - შენ ყოველთვის გამოირჩეოდი განსაკუთრებული ზრდილობით და ლამაზი ტანით სასიამოვნო გარეგნობით.

ანგუსტიასი - მადლობა ღმერთს, მალე მოვშორდები ამ ჯოჯოხეთს.

მაგდალენა - იქნებ მოშორდე, იქნებ ვერა!

მარტირიო - კარგი, გაჩუმდით! მორჩით!

ანგუსტიას - ნუ იქნები შხამიანი, სჯობს რომ იყო ბედიანი. ვისაც მზითევი არ გააჩნია...

მაგდალენა - ერთ ყურში შედის, მეორედან გამოდის...

ამელია - [პონსიას] ეზოს კარი გააღე, ცოტა ჰაერი შემოვიდეს. [პონსია აღებს]

მარტირიო - მთელი ღამე არ დამაძინა სიცხემ. (სიცხის გამო მთელი ღამე ვერ დავიძინე)

ამელია - მეც.

მაგდალენა - მე ავდექი, ჰაერს ჩავყლაპავმეთქი.ცა შავად იყო მოღრუბლული.მიწაზე რამდენიმე წვიმის წვეთი დაეცა.

პონსია - მეც გავედი გარეთ. ღამის პირველ საათზე მიწას ისევ ოხშივარი ასდიოდა. ანგუსტიასი ჯერ ისევ ფანჯარასთან იდგა, პეპეს ელაპარაკებოდა.

მაგდალენა - ასე გვიან?! რომელ საათზე წავიდა? [ირონიულად]

ანგუსტიასი - მაგდალენა რატომ ეკითხები, შენ ხომ დაინახე?!

ამელია - ორის ნახევარზე წავიდა.

ანგუსტიასი - ხოო.შენ საიდან იცი?

ამელია - გავიგონე როგორ ჩაახველა. ცხენის ფლოქვების ხმაც ისმოდა.

პონსია - მე გავიგონე რომ ოთხზე წავიდა.

ანგუსტიასი - ის არ იქნებოდა.

პონსია - ის იყო.

ამელია - მეც გავიგონე.

მაგდალენა - საოცარია...

[პაუზა]

პონსია - ანგუსტიას. რა გითხრა პირველად, ფანჯარასთან რომ მოვიდა?

ანგუსტიასი - არაფერი, რა უნდა ეთქვა, ჩვეულებრივად ვილაპარაკეთ.

მარტირიო - უცნაურია. გუშინ იყო ორი უცხო ადამიანი. დღეს კი,ბიჭი მოდის გოგოს ფანჯარასთან სალაპარაკოდ, ლაპარაკს ვერც კი ასწრებენ და უკვე საცოლეა და საქმრო.

ანგუსტიასი - ვერაფერს ვხედავ უცნაურს.

ამელია - არ ვიცი რა დამემართებოდა.

ანგუსტიასი - რატომ? თუ კაცი ქალის ფანჯარასთან მიდის, ეს იმას ნიშნავს ,რომ მან უკვე იცის უარს არ ეტყვიან.

მარტირიო - ქორწილზე უკვე გელაპარაკა?

ანგუსტიასი - რა თქმა უნდა.

ამელია - როგორ გითხრა?

ანგუსტიასი - როგორ და... შენ იცი რომ მომწონხარ, მე მჭირდება კარგი, წესიერი, მორჩილი ცოლი. თუ თანახმა ხარ, შენ მოგიყვან ცოლად.

ამელია - რატომღაც მრცხვენია ამ თემაზე საუბარი.

ანგუსტიასი - მეც. რას იზამ, ესეც უნდა გავიაროთ.

პონსია - კიდევ რამე გითხრა?

ანგუსტიასი - რა ვიცი, ბევრი რამ. მარტო ის ლაპარაკობდა.

მარტირიო - შენ?

ანგუსტიასი - მე ვერა, ხმაც ვერ ამოვიღე, გული გამიჩერდა. პირველად დავრჩი ღამე მამაკაცთან პირისპირ.

მაგდალენა - ძალიან ლამაზ მამაკაცთან.

ანგუსტიასი - ხო, ლამაზ მამაკაცთან.

პონსია - მიეჩვევი. ეგ შენზე გამოცდილებსაც ემართებათ, პასუხსაც გასცემ და ხელსაც გაუწოდებ, თვითონაც დაელაპარაკები... როცა ჩემი ქმარი ევარისტო, ჩვენ სოფელში მას წრიპას ეძახდნენ, პირველად ფანჯარასთან რომ მომადგა... [იცინის] ჰა, ჰა, ჰა.

ამელია - მერე?

[ადელა მიდი მოდის]

პონსია - უკუნეთი იყო... ვხედავ მოდის, მოვიდა, მეუბნება - საღამო მშვიდობისაო. საღამო მშვიდობის ვპასუხობ. ამის მერე ნახევარი საათი ჩუმად ვიდექით. გეგონებოდა პირში წყალი გვქონდა დაგუბებული. სულ გავიოფლე. მერე ევარისტო ახლოს მოიწია, ფანჯრის ბადეს ისე მოებჯინა მეგონა შემოძრომას ცდილობდა და ჩუმად მითხრა: ახლოს მოიწი უნდა გიჩქმიტოო...

[იცინიან, ამელია მიირბენს კართან და მიაყურადებს]

ამელია - ვაი, მომეჩვენა დედაჩემი მოდიოდა.

მაგდალენა - რას გვიზამდა?

[აგრძელებენ სიცილს]

ამელია - ჩუმად თორემ გაგვიგონებენ.

პონსია - მერე დადინჯდა, მაინდამაინც არ მაწუხებდა, სხვა რამის ნაცვლად ჩიტბატონებს დასდევდა. სიკვდილამდე ჩიტბატონებს ამრავლებდა. ისე, ქალიშვილებმა უნდა იცოდეთ, ქორწილიდან ორი კვირის შემდეგ კაცებს ცოლთან წოლას ურჩევნიათ კარგი სადილი, ცოტა მერე დალევა და ფულის ხარჯვა. ცოლი ან ითმენს, ან ტირის და თავს დარდით ინადგურებს.

ამელია - შენ უთმენდი ?

პონსია - მე? დავიმორჩილე.

მარტირიო - მართალია, რომ ურტყამდი?

პონსია - მერე როგორ...

მაგდალენა - ყველა ქალი ეგრე უნდა მოიქცეს.

პონსია - დედაშენმა მასწავლა. ერთხელ რაღაც მითხრა ცუდად, წავედი და ქვასანაყით ჩიტბატონები დავუხოცე.

[იცინიან]

მაგდალენა - ადელა, კარგად დაიმახსოვრე.

ამელია - სად არის ადელა?

მაგდალენა - წავალ, ვნახავ. [გადის]

პონსია - რაღაც ვერ არის აშკარად!

მარტირიო - სულ არ სძინავს. აბა რა იქნება?!

პონსია - და რას აკეთებს?

მარტირიო - მე რა ვიცი რას აკეთებს.

პონსია - გეცოდინება, ერთი კედელი გყოფთ.

ანგუსტიასი - შურით კვდება! (

ამელია - ნუ სულელობ!

ანგუსტიასი - თვალებზე ვატყობ, გიჟივით მიყურებს.

მარტირიო - გიჟებზე ლაპარაკი აკრძალულია, ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე არ ლაპარაკობენ.

[ადელა და მაგდალენა შემოდიან]

მაგდალენა - ვერ იძინებ?

ადელა - ცუდად ვარ.

მარტირიო - ცუდად ხომ არ გეძინა ?! [ნიშნის მოგებით]

ადელა - არა!

მარტირიო - აბა რა ხდება!

ადელა - [გაბოროტებული] თავი დამანებე, გესმის ? მძინავს თუ არ მძინავს შენი საქმე არ არის.

ცუდად ვარ, მამტვრევს ტანში თუ არა - შენ არ გეხება. ჩემ სხეულს რასაც მინდა იმას ვუზამ.

მარტირიო - ვღელავდი შენზე!

ადელა - ღელავ კი არა სულში მიძვრებოდი. მგონი ჰკერავდი არა? ხოდა კერე! ნეტა უჩინარი ვიყო, წყნარად ვივლიდი, მარტო მაშინ ვერ მკითხავდით სად დავდივარ, რატომ დავდივარ.

[შემოდის მოახლე]

მსახური - ბერნარდა გეძახით, არშიებით მოვაჭრე მოვიდა.

[გადიან ანგუსტიასი, მაგდალენა,ამელია. გასვლისას მარტირიო მიაშტერდება ადელას.]

ადელა - ნუ მიყურებ, გესმის? თუ გინდა გაჩუქებ ჩემს ნათელ თვალებს, ჩემს სწორ ზურგს, გამოგართმევ შენს ამღვრეულ თვალებს, შენს კუზს, ოღონდ ასე არ მიყურო, ოღონდ როცა გავივლი არ შემომხედო!

პონსია - ვის ელაპარაკები ასე? დას, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარხარ?!

ადელა - მითვალთვალებს, ოთახში შემოდის , რომ ნახოს მძინავს თუ არა, ვსუნთქავ თუ არა და მიმეორებს, მიმეორებს: რა ლამაზი ხარ, რა მშვენიერი, რა თეთრი კანი გაქვს და რა საწყენია, რომ ეს ყველაფერი არავის ერგებაო. ერგება იმას, ვისაც მე მოვინდომებ!!!

[მარტირიო გადის]

პონსია - ბოშა პეპეს?!

ადელა - რას გულისხმობ?! [შეცბება]

პონსია - რასაც ვამბობ!

ადელა - გაჩუმდი!

პონსია - გგონია, ვერაფერს გატყობ, არა?!

ადელა - ჩუმად ილაპარაკე!

პონსია - ჩაიხშე ეგ აზრები!

ადელა - და რა იცი?!

პონსია - მე კედლებშიც ვიყურები, სად დადიხარ ღამღამობით?

ადელა - გეჩვენება რაღაცეები!

პონსია - ზურგზეც მაქვს თვალები. თავს ვიმტვრევ და ვერ გამიგია, რა ჩაიფიქრე? პეპე რომ მოვიდა მეორედ შენს დასთან, რატომ იდექი ნათურის ქვეშ თითქმის შიშველი?

ადელა - ტყუილია!

პონსია - იფიქრე შენს საქციელზე. პატარა აღარ ხარ. თავი დაანებე შენს დას. თუ ბოშა პეპე შეგიყვარდა, რას იზამ, მოითმინე. ვინ გითხრა , რომ ვერასოდეს გაჰყვები პეპეს ცოლად?! ანგუსტიასი ასაკშია, ავადმყოფია, ვიწრო მენჯები აქვს, პირველ მშობიარობას ვერ გაუძლებს.

აი ნახავ, თუ არ მოკვდეს. მაშინ ბოშა პეპეც იმას იზამს რასაც დანარჩენი ქვრივები აკეთებენ. შირთავს ახალგაზრდა, ლამაზ გოგოს, ანუ შენ. ასე რომ,იმედი გქონდეს თუ არადა დაივიწყე. ნუ აღუდგები წინ ღმერთს, ნუ დაარღვევ ათ მცნებას.

ადელა - გაჩუმდი !

პონსია - არ გავჩუმდები!

ადელა - გაჩუმდი შე გველო! სხვის საქმეში ნუ ერევი.

პონსია - ჩრდილივით უკან უნდა გდიო!

ადელა - იმის ნაცვლად რომ სახლს მოუარო ღამე ადრე დაიძნო და შენი მკვდრებისთვის ილოცო, ყველგან ცხვირს ყოფ ბებერი ღორივით ჩასაფრებული ხარ, იქნებ რაიმე საეჭვოს წააწყდე, რომ მერე განიცადო და დატკბე!

პონსია - სირცხვილს მინდა აგარიდოთ! არ მინდა ამ სახლის კარს ყველა გამვლელმა აფურთხოს!

ადელა- როდის შეგიყვარდა ასე ჩემი და?!

პონსია - ჩემთვის ყველა ერთნი ხართ, მე მინდა წესიერ სახლში ვიცხოვრო. არ მინდა თქვენ გამო მეც შევრვცხვე.

ადელა - ტყუილად ცდილობ ჩემს გადარწმუნებას. გვიანია, ცეცხლში ვიწვი. ცეცხლის ჩასაქრობად ყველაფერზე ვარ წამსვლელი. შენ, მოსამსახურეს კი არა , საკუთარ დედას გადავაბიჯებ.

პონსია - ნუ მაღიზიანებ ადელა!

ადელა - რას იტყვი ჩემზე, რომ ოთახში ვიკეტები და კარს არავის ვუღებ? რომ ღამით არ მძინავს? მაინც გაჯობებ!

პონსია - გირჩევნია, ნუ მაღიზიანებ , თორემ ისეთ ამბავს ავტეხ, მთელი სოფელი გაიგებს.

ადელა - თუ გინდა ყველა საბძელს წაუკიდე ცეცხლი. სულ ერთია, მოსახდენი მოხდება.

პონსია - ასე შეგიყვარდა?!

ადელა - ხო, ასე. თვალებში ვუყურებ და მგონია, რომ მთელი მისი სისხლი ჩემს სხეულში იღვრება.

პონსია - არ შემიძლია შენი მოსმენა.

ადელა - მაინც მომისმენ, ადრე შენი მეშინოდა, ახლა აღარ მეშინია. შენზე ძლიერი ვარ!

[შემოდის ანგუსტიასი]

ანგუსტიასი - სულ ჩხუბობთ!

პონსია - აბა რა იქნება. ამ სიცხეში საყიდლებზე მგზავნის.

ანგუსტიასი - სუნამო მიყიდე?

პონსია - ყველაზე ძვირი. ფერუმარილიც შენს ოთახში დავდე, მაგიდაზე. [ანგუსტიასი გადის]

ადელა - არავის არცერთი სიტყვა! (ვინმესთან რამე არ წაოგცდეს)

პონსია - ვნახოთ!

[შემოდიან მარტირიო, ამელია, მაგდალენა]

მაგდალენა (ადელას) - ნახე არშიები?

ამელია - ანგუსტიასმა საქორწინო ზეწრებისთვის რომ იყიდა, მშვენიერია.

ადელა - ეს ვისია?

მარტირიო - ჩემი, ახალი პერანგისთვის. [თან არშიები უჭირავს ხელში]

ადელა - გეტყობა კარგ ხასიათზე ხარ, არშიებს ყიდულობ. თუმცა ვინ შეგამჩნევს

მარტირიო - მთავარია მე მომწონდეს, არავის ვეპრანჭები.

პონსია - ქალიშვილი პერანგში ვინ უნდა დაინახოს!

მარტირიო - [ადელას უყურებს ნიშნისმოგებით] ყველაფერი შეიძლება მოხდეს! მდიდარი რომ ვიყო, პერანგებს თხელი ჰოლანდიური ტილოსგან შევიკერავდი. ვგიჟდები ლამაზ საცვლებზე, რა ვქნა თავს ვიხალისებ!

პონსია - ასეთი არშიები უხდება ბავშვის ქუდებს და თხელ საბნებს, ბავშვებს მონათვლის დღეს რომ ახვევენ. ჩემი შვილები არშიებში არ გამიხვევია, ფული არ მქონდა. აი, ანგუსტიასს ბავშვები რომ ეყოლება, დღედაღამ არშიებით კერვა მოგიწევთ.

მაგდალენა - ძაფსაც არ გავუყრი, არ ვაპირებ სხვისი ბავშვების მოვლას.

ამელია - არც მე ვაპირებ. ვერ ხედავთ ჩვენი მეზობლები როგორ ცხოვრობენ? დღედაღამ შრომობენ რომ თავისი ჟღვლინტიანი, ჭიჭყინა შვილები გამოზარდონ.

პონსია - ის ქალები თქვენ მაინც გჯობიან. იქ ხანდახან მაინც ხუმრობენ , ხმაურობენ და იცინიან.

მარტირიო - წადი მერე და მათთან იმსახურე.

პონსია - არა, ეტყობა ჩემი ბედი ყოფილა ამ მონასტერში ცხოვრება.

[შორიდან ისმის ცხენის ეჟვნების ხმა]
მაგდალენა - კაცები სამკალში ბრუნდებიან.

პონსია - სამი საათია.

მარტირიო - მზე აცხუნებს. ალბათ რა ძნელია ასეთი მზის ქვეშ მუშაობა.

ადელა - როგორ მშურს მათი ვისაც შეუძლია მინდორში გასვლა. [ჯდება]

მაგდალენა - მაგას მგონი ვერასოდეს ვეღირსებით. [ჯდება]

მარტირიო - ასეა, ასე. [ჯდება]

ამელია - საშინელებაა.

[ისმის სიმღერის ხმა]

პონსია - რა მხიარულებაა ამ დროს მინდორში. დილით სამკალში 50 ბიჭი ჩამოვიდა სამუშაოდ.

ამელია - მზეც არ აწუხებთ?!

მარტირიო - მზე ცეცხლივით წვავთ. ისინი კი მაინც მკიან.

ადელა - მეც სიამოვნებით მოვმკიდი, ოღონდ უმოქმედოდ არ ვიყო. აქეთ-იქით ვივლიდი , გავერთობოდი, დარდს დავივიწყებდი.

მარტირიო - რისი დავიწყება გინდა?

ადელა - ყველას თავისი დარდი აქვს.

მარტირიო - თავისი?!

მაგდალენა - ცხელა!

ამელია - წელს საიდან მოვიდნენ?

პონსია - მთებიდან. რა კარგად მღერიან! ერთმანეთს სჯობიან, მაღლები, გარუჯულები. იცინიან, ყვირიან ქვებით თამაშობენ. გუშინ საღამოს სოფელში ვიღაც ქალი მოვიდა. ბრჭყვიალა კაბა ეცვა. გარმონზე უკრავდნენ, ის თურმე ცეკვავდა. 15 ბიჭს მოელაპარაკა და ზეთისხილის ხეივანში წაიყვანეს. როცა მე მივედი ერთ-ერთი ელაპარაკებოდა, მაღალი ,გამხდარი, მწვანეთვალება ,ახოვანი...

ამელია - ნუთუ მართალია?

ადელა - რატომაც არა!

პონსია - რამდენიმე წლის წინაც მოვიდა ერთი ეგეთი ქალი . ჩემს უფროს ბიჭს მე მივეცი ფული, თვითონ რომ მორიგებოდა. ბიჭებისთის ეს საჭიროა.

ადელა - ბიჭებს ყველაფერი ეპატიებათ.

ამელია - ქალად დაბადებაზე საშინელი არაფერია.

მაგდალენა - ქალის ბედია, ეგ კი არა საითაც გინდა იქით გახედვის უფლებაც არ გვაქვს.

[სიმღერის ხმა ნელ-ნელა ახლოვდება]

პონსია - რა სიმღერაა!!! გზიდან უხვევენ.

ადელა - წამო , ჩემი ფანჯრიდან შევხედოთ.

პონსია - ფანჯარას ძალიან ნუ გააღებთ, თორემ დაგინახავენ.

[გადის პონსია,ადელა,მაგდალენა]

ამელია - რა დაგემართა?

მარტირიო - სიცხემ მომთენთა.

ამელია - მეტი არაფერი?

მარტირიო - მინდა მალე მოვიდეს შემოდგომა, მინდა წვიმდეს, წვიმდეს გაუთავებლად, მინდა ხეები თრთვილმა დაფაროს, ოღონდ მალე გავიდეს ეს დაუსრულებელი ზაფხული.

ამელია - ზაფხული გავა და მერე ისევ დაბრუნდება.

მარტირიო - ჰო, დაბრუნდება. წუხელ გვიან დაიძინე?

ამელია - არ მახსოვს. მკვდარივით მძინავს. რატომ მეკითხები?

მარტირიო - არაფერი. თითქოს ეზოდან ხმები მესმოდა.

ამელია - მართლა?!

მარტირიო - გვიან, ღამე.

ამელია - არ შეგეშინდა?!

მარტირიო - არა, სხვა დროსაც გამიგია.

ამელია - იქნებ მუშები იყვნენ?

მარტირიო - მუშები ექვსზე მოდიან.

ამელია - ალბათ გაუხედნავი ფაშატი ვერ ისვენებს.

მარტირიო - ჰო, გაუხედნავი ფაშატი!... [კბილებიდან გამოსცრის]

ამელია - იქნებ ვუთხრათ, ყურადღება მიაქციონ.

მარტირიო - არა, არა არავის უთხრა, იქნებ მომესმა.

ამელია - იქნებ... [ამელია გასასვლელისკენ მიდის]

მარტირიო - ამელია...

ამელია - რა?

მარტირიო - არაფერი.

ამელია - რატომ დამიძახე?

მარტირიო - არ ვიცი. ისე...

ამელია - წადი, წამოწექი.

[შემოდის ანგუსტიასი/შემოვარდება]

ანგუსტიასი - სად არის პეპეს სურათი, რომელიც ბალიშის ქვეშ მედო?! რომელმა აიღეთ?

მარტირიო - არავის აუღია.

ამელია - ვის რაში ჭირდება, ეგეც ვითომ ოქროსგან მოჭედილი ხატი იყოს.

ანგუსტიასი - სად არის სურათი?

ადელა - რა სურათი?

ანგუსტიასი - რომელმა დამალეთ?

მაგდალენა - როგორ არ გრცხვენია?

ანგუსტიასი - ოთახში მქონდა და აღარ არის.

მარტირიო - იქნებ შუაღამისას ეზოში გაიქცა ჰაერის ჩასაყლაპად! პეპეს უყვარს მთვარიან ღამეებში სეირნობა.

ანგუსტიასი - ენა დაიმოკლე! მოვა პეპე და ყველაფერს მოვუყვები!

პონსია - არაუშავს მოვძებნით.

ანგუსტიასი - მინდა ვიცოდე , რომელმა აიღეთ?!

[უყურებს ადელას]

ადელა - მე არა.

მარტირიო - ხო, აბა რა. შენ არა!

მსახური - ჩუმად, ბერნარდა მოდის!

ბერნარდა - რა ხდება ჩემს სახლში? რა გაჩხუბებთ ამ სიცხეში მეზობლებს ალბათ ყველაფერი ესმით.

ანგუსტიასი - საქმროს სურათი მომპარეს.

ბერნარდა - ვინ აიღო, ვინ?

ანგუსტიასი - დებმა!

ბერნარდა - რომელმა თქვენგანმა? [პაუზა] მიპასუხეთ! გაჩხრიკე ოთახები, ლოგინებშიც ნახე! თავს გახვედით არა? არ დავუშვებ. დარწმუნებული ხარ, რომ სურათი დაიკარგა?

ანგუსტიასი - დარწმუნებული ვარ!

ბერნარდა - კარგად მოძებნე?

ანგისტიასი - კარგად დედიკო! [შემოდის პონსია]

ბერნარდა - რომელი დედა გაუძლებს ამ სიმწარეს. იპოვნე? ვერ იპოვნე?

პონსია - აი.

ბერნარდა - სად იყო?

პონსია - იქ...

ბერნარდა - თქვი! ნე გეშინია.

პონსია - მარტირიოს ლეიბის ქვეშ. [გაოცებული]

ბერნარდა - მართალია?

მარტირიო - მართალია

ბერნარდა - უხ შე გველო [ცემს]

მარტირიო - ნუ მირტყამ დედა!

ბერნარდა - მეტის ღირსი ხარ!

მარტირიო - წაიღოს სურათი. გესმით? წაიღოს. ჯობია თავი დამანებოთ!

პონსია- ნუ ეპასუხები დედაშენს.

ანგუსტია - თავი დაანებეთ . გთხოვთ [აკავებს ბერნარდას]

ბერნარდა - უსირცხვილო! ერთი ცრემლი მაინც გადმოაგდოს.

მარტირიო - არ მოგანიჭებთ მაგ სიამოვნებას, არ ვიტირებ!

ბერნარდა - რატომ აიღე სურათი?

მარტირიო - ვიხუმრე. რაში მჭირდებოდა?! / სხვა რაუნდა მდომოდა?!

ადელა - ეს არ იყო ხუმრობა. შენ ხუმრობა არასოდეს გყვარებია. ამოხეთქა ბოღმამ რომელიც შენს გულს დიდი ხანია აწუხებს. გირჩევნია აღიარო.

მარტირიო - გაჩუმდი! არ ამალაპარაკო თორემ თუ პირი გავაღე ისე შეგრცხვება, ინატრებ მიწამ გშთანთქოს.

ადელა - შხამიანი ენა ყველაფრის თქმას იკადრებს.

ბერნარდა - ადელა!

მაგდალენა - თქვენ რა გაგიჟდით?!

ამელია - გეყოთ ერთმანეთის დამცირება.

მარტირიო - სხვები უარესებს აკეთებენ.

ადელა - მდინარის პირას იპარებიან და რას ჩადიან ღმერთმა იცის.

ბერნარდა - უზნეო გოგო!

ანგუსტიას - ჩემი ბრალი არ არის ბოშა პეპეს ცოლად მე თუ მოვყავარ.

ადელა - შენი ფულების გამო.

ანგუსტიას - დედა

ბერნარდა - შეწყვიტეთ!

მარტირიო - შენი მიწების და ვენახებისთვის.

მაგდალენა - სრული სიმართლეა.

ბერნარდა - როგორ გძულთ ერთმანეთი. მართალია ვგრძნობდი, რომ რაღაც ცუდი მელოდა. მაგრამ ასე ჩქარა ? თუმცა მე არც ისე ბებერი ვარ. აქ ამ სახლში მოიძებნება ხუთი მაგარი ჯაჭვი. აქ მამაჩემის აშენებულ სახლში საკმარისად მაგარი კედლებია რომ ეზოში ბალახმაც ვერ გაიგოს ჩემი სირცხვილის და უბედურების ამბავი. გაეთრიეთ!

[გადიან. პონსია კედელთან დგას]

ბერნარდა - ბერნარდა! მაგრად უნდა დადგე. გახსოვდეს ეს შენი მოვალეობაა!

პონსია - შეიძლება ვთქვა?

ბერნარდა - თქვი. ვნანობ რომ ყველაფერი გაიგონე. ცუდია როცა უცხომ ყველაფერი იცის შენს შესახებ. უცხო სახლში ყოველთვის ზედმეტია.

პონსია - რას იზამ?

ბერნარდა - ქორწილი უნდა დავაჩქარო

პონსია - მართალია ანგუსტიასი დროზე უნდა მოაშორო აქაურობას.

ბერნარდა - ეს კი არა ის.

პონსია - მართალია, სწორად მსჯელობ. აქაურობას ის უნდა მოშორდეს.

ბერნარდა - მე არ ვმსჯელობ მე ვბრძანებ.

პონსია - და გგონია ის მოინდომებს რომ მოშორდეს აქაურობას?

ბერნარდა - [დგება] რისი თქმა გინდა?

პონსია - ის რა თქმა უნდა ცოლად მოიყვანს ანგუსტიასს.

ბერნარდა - თქვი რა უცნაური აზრი მოგივიდა თავში. კარგად გიცნობ. ვიცი ჩემთვის დანა გაქვს გადანახული.

პონსია - არ მეგონა მოკეთის გაფრთხილება დანის დარტყმას თუ ნიშნავდა.

ბერნარდა - რაზე უნდა გამაფრთხილო?

პონსია - მე არაფერს გეტყვი. თვალი უკეთ გაახილე და დაინახავ.

ბერნარდა - რას დავინახავ?

პონსია - შენ ყოველთვის გონიერი იყავი .ყველას ხრიკებს წინასწარ ხვდებოდი. ყველაფერი იცოდი.სულ მეგონა რომ ადამიანების ფიქრების კითხვა შეგეძლო.საკუთარ შვილებთან კი სუსტი გამოდექი. დაბრმავებული ხარ .

ბერნარდა - მარტირიოზე ამბობ?

პონსია - ვთქვათ მარტირიოზე... რისთვის დამალა სურათი?

ბერნარდა - ხომ თქვა ვიხუმრეო. რატომაც არა?! სხვა რა უნდა იყოს?

პონსია - ეგრე ფიქრობ?

ბერნარდა - არ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ.

პონსია -როგორც გინდა,გავჩუმდები, მაგრამ რას იტყოდი ეს შენი კი არა მეზობლის ქალიშვილი რომ ყოფილიყო?

ბერნარდა- ამოიღე, ამოიღე ნელ-ნელა უბიდან შენი დანა.

პონსია- [დაუნდობლად] ბერნარდა, შენს სახლში ყველაფერი კარგად არ არის! შენ არ გაბრალებ, მაგრამ რატომ გყავს გოგოები დატყვევებული? რატომ შეჭამე ისინი? მარტირიო მგრძნობიარეა, რა დასამალია. რატომ არ გააყოლე ენრიკო უმანასს, როდესაც მოსვლას აპირებდა მარტირიოსთან შესახვედრად? რატომ შეუთვალე რომ არ გაებედა მოსვლა?

ბერნარდა- ათასჯერ იმავეს გავაკეთებდი. სანამ ცოცხალი ვარ ჩემი ოჯახი უმანასს არ დაუნათესავდება. მამამისი დაქირავებული მუშა იყო.

პონსია- მეტისმეტად ამაყი ხარ.

ბერნარდა- მე მაქვს საამაყო. შენ არა, ხომ არ დაგავიწყდა ვინ გაგაჩინა?!

პონსია- ნუ მახსენებ მაგას! ყოველთვის მადლიერი ვიყავი რომ შემიკედლე.

ბერნარდა- ვერ ვიტყოდი.

პონსია- მარტირიოს გაუვლის.

ბერნარდა- არ გაუვლის და მაგისთვის იქნება უარესი. მე არ ვთვლი, რომ ჩემს სახლში ყველაფერი რიგზე არ არის. ჩემს სახლში ყველაფერი რიგზეა. შენ გინდა, რომ რაღაც ხდებოდეს და რომც მოხდეს იცოდე, ამ კედლებს იქით ჩქამიც არ გავა.

პონსია- როგორ გითხრა, არ მგონია ამ სოფელში მარტო შენ ხვდებოდე ყველაფერს.

ბერნარდა- რა კმაყოფილი იქნებოდი, მე და ჩემი შვილები რომ საროსკიპოში წაგვათრიონ.

პონსია- არავინ იცის ვის რა ელის!

ბერნარდა- მე ვიცი რაც მელის, რაც ჩემს შვილებს ელით. ისიც ვიცი, რომ ჩემი შვილების ადგილი საროსკიპოში არ არის, აი ერთი ქალის ადგილი კი იქ იყო, თუმცა ის მოკვდა.

პონსია- ბერნარდა, პატივი ეცი დედაჩემის ხსოვნას!

ბერნარდა- შენ კიდევ თავს ნუ მაბეზრებ შენი ჭუჭყიანი ფიქრებით.

პონსია- არაფერში ჩავერევი, ასე სჯობს.

ბერნარდა- არც უნდა ჩაერიო. შენი საქმეა- მუშაობა და სიჩუმე. ასე უნდა მოიქცე , ამაში გიხდიან ფულს.

პონსია- ხომ არ გგონია, რომ უკეთესია პეპეს ცოლად შეერთო მარტირიო ან თუნდაც ადელა?

ბერნარდა- არა, არ მგონია.

პონსია- აი, ადელა ნამდვილი საცოლეა ბოშასთვის.

ბერნარდა- ცხოვრებაში ხშირად ისე კი არ იქცევი, როგორც გინდა, არამედ, როგორც საჭიროა.

პონსია- მაგრამ ცხოვრებას თვითონ მიჰყავს ადამიანი და რას იზამ, შენ ვერაფერს შეცვლი. მე არ მინდა, პეპემ ანგუსტიასი შეირთოს. არც ხალხს უნდა. ნეტა თუ გამოუვათ რამე.

ბერნარდა- შენსას არ იშლი, გონებას ნუ მირევ! შენს აზრებს რომ ჩავწვდე, მოსაკლავად უნდა გაგიმეტო. მადლობა ღმერთს, გოგოები პატივს მცემენ, არასოდეს არ გადავლენ ჩემს ნებას.

პონსია- თავისუფლება რომ მისცე ხელიდან წავლენ.

ბერნარდა- თავიანთ ნებაზე მაინც ვერ გაივლიან.

პონსია- ვიცი, ზედმეტად გამბედავი ხარ.

ბერნარდა- ჯერ არავინ დამისვია თავზე.

პონსია- რა არ ხდება ამ ქვეყანაზე. ანგუსტიასის ასაკი და სიყვარული. ჭკუას კარგავს პეპეზე. გუშინ ჩემმა ბიჭმა მითხრა, დილის ხუთის ნახევარზე ხარებს რომ მირეკავდა პეპე ისევ შენი სახლის ფანჯრის ქვეშ იდგა. [შემოდიან ანგუსტიასი , მარტირიო, ადელა და მოახლე]

ბერნარდა - ხუთის ნახევარზე?

ანგუსტიასი - ტყუილია

პონსია - ასე მითხრა.

ბერნარდა- აბა თქვი არაფერი დამალო.

ანგუსტიასი- მთელი კვირა პეპე პირველ საათზე მიდის სახლში. ღმერთმა დამსაჯოს თუ ვიტყუებოდე.

მარტირიო - მეც გავიგონე ხუთზე წავიდა

ბერნარდა - თვითონ დაინახე?

მარტირიო - არა,არ მინდოდა გახედვა. ახლა ხომ იმ ფანჯრიდან საუბრობთ შესახვევში რომ გადის?

ანგუსტიატი - არა, ჩემი ოთახის ფანჯრიდან.

[შემოდის ადელა]

მარტირიო - ესე იგი....

ბერნარდა -რა ხდება აქ?

პონსია - ჯობია ნუ ჩაეძიები . ერთი რამ ნათელია, დილის ხუთის ნახევარზე პეპე იდგა შენი სახლის ერთ-ერთ ფანჯარასთან.

ბერნარდა - ნამდვილად იცი?

პონსია - ნამდვილად ამ ქვეყნად არავინ არაფერი იცის.

ადელა - დედიკო ყურს ნუ უგდებთ. ბოროტ ხალხს ჩვენი დაღუპვა უნდათ.

ბერნარდა - შევძლებ გავარკვიო, თუ სოფელში უნდათ რომ ცილი დაგვწამონ, მე არ ავყვები! მოვრჩეთ ამაზე საუბარს. ხშირად წყალს ძალით ამღვრევენ, რომ სხვები ჩაძირონ!

მარტირიო - არასოდეს ვიტყუები.

პონსია - აქ რაღაც იმალება.

ბერნარდა - არაფერიც არ იმალება. გვარით მომდგავს ფართოდ გახელილი თვალით ცხოვრება. ახლა მომიწევს ასი თვალის გამობმა სიკვდილამდე.

ანგუსტიასი - მაქვს თუ არა უფლება გავიგო რაშია საქმე?

ბერნარდა - მხოლოდ სიჩუმის და მორჩილების უფლება გაქვს. დღეიდან ფეხი არავინ შემოდგას ჩემი ნებართვის გარეშე.[პონსიას] შენ კი საქმეს მიხედე.და ნურც ნურაფერზე მიმითითებთ.

მოხალე - ქუჩაში რაღაც ხმაურია. ხალხი შეგროვდა. მეზობლებიც გარეთ გამოვარდნენ.

ბერნარდა - [პონსიას] გაიგე რა ხდება.

[ყველას გარეთ გასვლა უნდა]

ბერნარდა - საით? ფანჯრებში ყურების ნცვლად მამათქვენი იგლოვეთ. შიდა ეზოში გადით.

[გადიან]

[შორს ისმის ხმა]

[მარტირიო და ადელა კართან დგანან და არ იძვრიან]

მარტირიო - მადლობა მითხარი რომ ენას კბილი დავაჭირე.

ადელა - მეც შემეძლო რაღაც მეთქვა.

მარტირიო - შენ რას იტყოდი? სურვილი არ ნიშნავს კეთებას.

ადელა - აკეთებს ის ვისაც შეუძლია და ბედავს. შენ გინდოდა და ვერ შეძელი.

მარტირიო - დიდხანს ვერ გაძლებ.

ადელა - ის მხოლოდ ჩემი იქნება!

მარტირიო - გამოგგლეჯ მაგ კლანჭებიდან.

ადელა - მარტირიო თავი დამანებე! [ევედრება]

მარტირიო - არა! არავითარ შემთხვევაში.

ადელა - ჩემი სახლში წაყვანა უნდა.

მარტირიო - დავინახე როგორ გეხვეოდა

ადელა - მე არ მინდოდა, რაღაც ძალამ მიმიზიდა.

მარტირიო - მოვკვდები მაგრამ მაინც წაგართმევ.

[შემოდიან ბერნარდა და პონსია]

პონსია - ბერნარდა!

ბერნარდა - რა მოხდა?

პონსია - ლიბრადას გოგომ, გაუთხოვარმა, ბავშვი გააჩინა. არ იციან ვისგან.

ადელა - ბავშვი?

პონსია - სირცხვილი რომ დაემალა ბავშვი მოკლა და ლოდის ქვეშ დამარხა. ძაღლებმა რომლებსაც ზოგ ადამიანზე კეთილი გული აქვთ გამოთხარეს და კარებთან დაუგდეს. ამ საქმეში ნამდვილად ღმერთის ხელი ურევია. ახლა იმ გოგოს მოკვლა უნდათ, ქუჩაში მიათრევენ, ზეთისხილის ხეივანში, ბილიკებზე ხალხი მირბის, ისე ყვირიან რომ მიწა ცახცახებს.

ბერნარდა - ყველამ აიღოს ჯოხები და ნიჩბები! მთელი სოფელი შეიკრიბოს და მოკლან.

ადელა - არა! არაა, არ მოკლან!! არაა!

მარტირიო - მოკლან და ჩვენც გავიდეთ

ბერნარდა - პასუხი აგოს გარყვნილმა!

[ისმის ქალის ყვირილის ხმა]

მარტირიო - [უყურებს ადელას] პასუხი აგოს.

ადელა - ნეტავ მოასწროს გაქცევა. თქვენ მაინც ნუ გახვალთ.

ბერნარდა - მოკალით ჩქარა სანამ პოლიცია მოვა. დაწვით ეგ უნამუსო. მუცელი ამოუწვით.

ადელა - არაა!!! არააااა!!! [მუცელზე იკიდებს ხელს]

ბერნარდა - მოკალით! მოკალით!

მოქმედება მესამე

> თეთრ-მოცისფროდ შეღებილი კედლები ბერნარდა ალბას სახლის შიდა ეზოში. საღამოა. დეკორაცია ზედმიწევნით სადა უნდა იყოს. ოთახები განათებულია და კარიდან მოსჩანს სუსტი მოწითალო შუქი, რომელიც რბილად ანათებს სცენას. შუა ეზოში მაგიდაზე ნავთის ლამპა ანთია. მაგიდა გაწყობილია, ბერნარდა და მისი ქალიშვილები ვახშმობენ. პონსია მათ ემსახურება. პრუდენსია განცალკევებით ზის. ფარდის აწევისას სცენაზე სიჩუმეა, რომელსაც მხოლოდ ჭურჭლის ხმა არღვევს.

პრუდენსია - მე წავედი. ღამდება უკვე [დგება]

ბერნარდა - დარჩი კიდევ, დიდიხანია არ გვინახავს ერთმანეთი.

პრუდენსია - მწუხრის ზარი უკვე დარეკეს?

პონსია - ჯერ არა.

ბერნარდა - შენი ქმარი როგორ არის?

პრუდენსია - ისევ ისე.

ბერნარდა - ისიც დიდი ხანია არ მინახავს.

პრუდენსია - ხომ იცი როგორი ხასიათი აქვს. იმის მერე რაც ძმებს მემკვიდრეობის გამო ეჩხუბა, წინა ჭიშკრიდან არცერთხელ აღარ გასულა. კიბე ეზოში გამოაქვს, კედელზე ძვრება და ღობე-ღობე დადის.

ბერნარდა - ნამდვილი მამაკაცია. ქალიშვილთან როგორ არის?

პრუდენსია - ჯერ ვერ აპატია.

ბერნარდა - სწორად იქცევა.

პრუდენსია - როგორ გითხრა... მე კი გული მტკივა.

ბერნარდა - შვილი რომელიც არ გემორჩილება, შვილი კი არა მტერია.

პრუდენსია - რა ვქნა, მეც ხელი ჩავიქნიე ყველაფერზე. ჩემი ერთადერთი ნუგეში ლოცვაა. ალბათ მალე ეკლესიაშიც ვეღარ ვივლი. მხედველობა გამიფუჭდა, ძირითადად სახლშივარ გარეთ მეშინია, ბავშვები ცუდად არ მეხუმრონ. ეს რა ხმაა? [ისმის კედელში ძლიერი დარტყმა]

ბერნარდა - კვიცია. ჩავაკეტინე და წიხლებს ისვრის. ლაგამი ამოსდეთ და გამოუშვით. სიცხისგან ფორიაქობს.

პრუდენსია - ფაშატი უნდა მოუყვანო.

ბერნარდა - დილით მოვუყვან.

პრუდენსია - საქონელი გაგიმრავლდა, კარგი მეპატრონე ხარ.

ბერნარდა - ძვირი ჯდება. ბევრი წვალება უნდა.

პონსია - სამაგიეროდ უკეთესი საქონელი ახლომახლო არავის ჰყავს. მაგრამ ცუდია რომ გაძვირდა.

ბერნარდა - ყველი, თაფლი ხომ არ გინდა?

პრუდენსია - არა, გმადლობ.

[ფაშატის ხმა]

პონსია - ღმერთო ჩემო!

პრუდენსია - გული გამისკდა.

ბერნარდა - რამდენჯერ უნდა გავიმეორო, გამოუშვით თივის ზვინზე იგორაოს. ფაშატები ჩაკეტეთ ეგ გამოუშვით, თორემ კედლები ჩამოანგრია. ღმერთო რა ცხოვრებაა.

პრუდენსია - ძნელია, კაცის საქმესაც შენ აგვარებ.

ბერნარდა - მართალია. [ადელას] საით?

ადელა - მწყურია.

ბერნარდა - დოქით წყალი მოიტანეთ. დაჯექი. [ადელა ჯდება]

პრუდენსია - ანგუსტიასის ქორწილი როდის იქნება?

ბერნარდა - სამი დღის შემდეგ მოვლენ დასანიშნად.

პრუდენსია - კმაყოფილი ხართ?

ბერნარდა - ძალიან.

ამელია - მარილი დააბნიე. დავითარსებით.

მაგდალენა - უარესი რა უნდა იყოს?

ბერნარდა - გეყოფათ.

ამელია - სულ ერთია, დავითარსებით.

პრუდენსია - [ანგუსტიასს] ბეჭედი გაჩუქა?

ანგუსტიასი - დიახ, აი ნახეთ.

პრუდენსია - მშვენიერია. სამი მარგალიტი. ადრე ამბობდნენ რომ მარგალიტი ცრემლს ნიშნავსო.

ანგუსტიასი - ახლა ყველაფერი შეიცვალა, ამის აღარავის სჯერა.

ადელა - მე კი მჯერა. ყველა საგანს თავისი ნიშანი აქვს, რომლებიც არ იცვლება. წესით საცოლეს ბრილიანტის ბეჭედი უნდა აჩუქონ.

პრუდენსია - ბრილიანტი უფრო უხდება ნიშნობას.

ბერნარდა - მარგალიტებით თუ ბრილიანტებით... კაცი თავის ბედს თვითონ განაგებს.

მარტირიო - კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

[ისმის შორს ზარის რეკვა]

პრუდენსია - აბა წავედი, კიდევ მოვალ.

ბერნარდა - კარგად.

ანგუსტიასი - კარგად.

პრუდენსია - ღმერთმა კარგად გამყოფოთ, ნახვამდის.

ქალიშვილები - ღმერთმა გადღეგრძელოთ, ნახვამდის.

[პრუდენსია გადის]

ბერნარდა - ვახშამი დამთავრებულია. [დგებიან]

ადელა - ჭიშკრამდე მივალ. ჰაერს ჩავისუნთქავ.

ამელია - მეც გამოგყვები.

მარტირიო - მეც.

ადელა - არ დავიკარგები უთქვენოდ.

ამელია - მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო.

[გადიან ამელია, ადელა და მარტირიო. ანგუსტიასი ალაგებს სუფრას]

ბერნარდა - ანგუსტიას, მე ხომ გითხარი მარტირიოს შეურიგდიმეთქი. გეხუმრა, უნდა აპატიო და დაივიწყო ეს ამბავი.

ანგუსტიასი - მე მას არ ვუყვარვარ.

ბერნარდა - მე არ ვაპირებ გამოკითხვას ვის ვინ უყვარს და ვინ არა. მე მინდა ჩემ სახლში სიწყნარე და მეგობრობა იყოს. წესიერად იყავით ! გასაგებია?!

ანგუსტიასი - გასაგებია.

ბერნარდა - ხოდა ძალიან კარგი, ესეიგი სალაპარაკოც არაფერია.

მაგდალენა - [ეძინება] შენ რა გენაღვლება, მაინც მალე წახვალ აქედან.[იძინებს]

ანგუსტიასი - ალბათ. გვიანია.

ბერნარდა - გუშინ რომელ საათამდე ელაპარაკე?

ანგუსტიასი - პირველის ნახევრამდე.

ბერნარდა - რაო, რას გეუბნება?

ანგუსტიასი - რაღაც დაბნეულია. მელაპარაკება, თან თითქოს სხვა რამეზე ფიქრობს. რომ ვეკითხები რა დაგემართამეთქი კაცებს ჩვენი საზრუნავი გვაქვსო მეუბნება.

ბერნარდა - შენც ნურაფერს ეკითხები. ცოლად რომ გაყვები მითუმეტეს, ილაპარაკე, როცა თვითონ დაგელაპარაკება, შეხედე როცა თვითონ შემოგხედავს. მაშინ უთანხმოება აღარ იქნება.

ანგუსტიასი - ასე მგონია რაღაცას მიმალავს.

ბერნარდა - ნურაფერს გამოიძიებ და ნურც შეეკითხები. რაც მთავარია, არ იტირო მისი თანდასწრებით.

ანგუსტიასი - თითქოს ბედნიერი უნდა ვიყო,ბედნიერებას კი ვერ ვგრძნობ.

ბერნარდა - არაუშავს.

ანგუსტიასი - როცა ვუყურებ პეპეს ფანჯრის ბადიდან, ვაკვირდები და მეჩვენება თითქოს ნისლშია გახვეულია.

ბერნარდა - სისუსტის ბრალია.

ანგუსტიასი - ნეტავ ეგრე იყოს.

ბერნარდა - დღეს მოვა?

ანგუსტიასი - არა, დედამისს გაყჰვა ქალაქში.

ბერნარდა - მაშინ ადრე დავიძინოთ. მაგდალენა!

ანგუსტიას - დაეძინა.

(შემოდიან: ადელა, მარტირიო, ამელია.)

ამელია - საშინლად ბნელა!

ადელა - ორნაბიჯზეც არაფერი ჩანს.

მარტირიო - კარგი ღამეა ქურდებისათვის.

ადელა - კვიცი შუა ეზოში დგას, სულ თეთრია, თითქოს უფრო დიდია ვიდრე დღისით. მთელ ეზოს ავსებს.

ამელია - მოჩვენებას ჰგავს. შემეშინდა.

ადელა - ცა მუშტის ოდენა ვარსკვლავებითაა მოჭედილი.

მარტირიო - იმდენხანს უყურა ვარსკვლავებს, კინაღამ კისერი მოიგრიხა.

ადელა - საინტერესოა შენ რატომ არ გიყვარს ვარსკვლავები?

მარტირიო - რაც ჭერს ზემოთ ხდება, არ მაინტერესებს. ჩემთვის ისიც საკმარისია რაც ჩვენს სახლში ხდება.

ადელა - სწორია, მხოლოდ ეგ განიტერესებს.

ბერნარდა - შენ ერთი გაინტერესებს, მას მეორე. საკამათო არაფერია.

ანგუსტიასი - ღამემშვიდობისა.

ბერნარდა - ღამემშვიდობისა.

ადელა - უკვე იძინებ?

ანგუსტიასი - ჰო, პეპე დღეს არ მოვა (გადის)

ადელა - დედა, როცა ვარსკვლავი ვარდება, ან ელვაა, რატომ ამბობენ წმინდაო ბარბარე კურთხეულო, წმინდა წყლით ნაპკურებო, ზეცაშ ამაღლებულოო?

ბერნარდა - ადრე ბევრი რამ იცოდნენ. რაც ჩვენ ეხლა აღარ ვიცით.

ამელია - მე თვალებს ვხუჭავ როცა ვარსკვლვი ვარდება.

ადელა - მე არა. მომწონს როგორ წყდება ვარსკვლავი რომელიც წლებია კაშკაშებს და გიზგიზით ჩაიქროლებს ხოლმე ცაზე.

მარტირიო - და მერე ჩვენ რა.

ბერნარდა - ასეთ რამეებზე ფიქრი არც ღირს.

ადელა - რა მშვიდი ღამეა. მთელი ღამე ვიჯდებოდი გარეთ და ვისუნთქებდი სუფთა ჰაერს.

ბერნარდა - თუმცა დაწოლის დროა. ღამემშვიდობისა. მაგდალენა!

ამელია - უკვე სიზმრებს ხედავს!

ბერნარდა - მაგდალენა!

მაგდალენა - თავი დამანებე.

ბერნარდა - წადი, დაწექი.

მაგდალენა - არ გაცდიან წყნარად ყოფნას. (ჯუჯღუნებს)

ამელია - ღამემშვიდობისა. (გადის)

ბერნარდა - თქვენც დაიძინეთ.

მარტირიო - პეპე რატომ არ მოდის.

ბერნარდა - ქალაქში წავიდა.

მარტირიო - აა, ხოო... (ადელას უყურებს)

ადელა - ხვალამდე.

(გადიან) (მარტირიო წყალს სვამს და იყურება საჯინიბოსკენ, გადის)

(შემოდის პონსია)

პონსია - შენ ჯერ აქ ხარ?

ბერნარდა - სიჩუმით ვტკბები, და რაღაც ვერ ვატყობ რამე რიგზე არ იყოს ჩემს სახლში.

პონსია - ნუღა ვილაპარაკებთ.

ბერნარდა - ამ სახლში ყველაფერი რიგზეა, მე ვერაფერს დამიმალავენ.

პონსია - ერთი შეხედვით მშვიდად არიან, გეთანხმები, შენ მათ გაქანებას არ აძლევ, მათ სულებში კი რა ხდება ვერავინ ჩაიხედავს.

ბერნარდა - მათი სულები მშვიდია.

პონსია - დედა შენ ხარ, შენ უნდა იზრუნო მათზე.

პონსია - ჩემი საქმეა ვიზრუნო სახლზე და მორჩა!

ბერნარდა - რა მდუმარე გახდი!

პონსია - ვიცი ჩემი ადგილი, ჩემ საქმეს ვაკეთებ სულ ესაა, მორჩა და გათავდა.

ბერნარდა - აქ რომ რამე ხდებოდეს საჭორაო, შენ იზრუნებდი, რომ ყველა მეზობელს ჩვენთვის ძვლები გადაეღრღნა.

პონსია - მე უფრო მეტს ვუმალავ ხალხს ვიდრე შენ გგონია.

ბერნარდა - შენი შვილი ისევ ხომ არ შეხვედრია პეპეს დილის ხუთ საათზე? კიდევ ლაპარაკობენ საშინელებებს ამ სახლის შესახებ?

პონსია - ხალხი არაფერს ლაპარაკობს.

ბერნარდა - ხელმოსაჭიდი არაფერი აქვთ და იმიტომ, ტყუილად არ ვყოფილვართ ფხიზლად.

პონსია - არ მინდა ამაზე ლაპარაკი , მაგრამ ნურავის მიენდობი.

ბერნარდა - მე ჩემს თავს ვენდობი, ვთვლი რომ ყველაფერი რიგზეა.

პონსია - ნუ იქნები დარწმუნებული , რომ არაფერი ხდება. ფრთხილად იყავი უცებ არ შეიცვალოს ამინდი.მოულოდნელად თავს არ დაგატყდეს უბედურება

ბერნარდა - შეიგნე აღარ მინდა შენი მოგონილი ამბების მოსმენა! (არ მემუქრება უდებურება)

მოახლე - ჭურჭელი დავრეცხე. კიდევ გნებავთ რამე?

ბენარდა - არაფერი. წავალ , დავწვები

პონსია - რომელ საათზე გაგაღვიძო?

ბერნარდა - არ გამაღვიძო . უნდა გამოვიძინო (გადის)

პონსია - წადი! წადი! ქარმა სახეში რომ არ გიბეროს , სჯობია ზურგი მიუშვირო .

მოახლე - თვალებს განგებ იხვევს , რომ არაფერი დაინახოს . ამაყია .

პონსია - რა ვქნა, მინდოდა უბედურება ამეცდინა , მაგრამ შემაშინეს. გესმის რა სიწყნარეა?ყველა ოთახ ში კი ქარიშხალი ტრიალებს. როგორც კი ეს ქარიშხალი გარეთ გამოვარდება, ყველას წაგვიღებს. ყველაფერი ვუთხარი , მე მეტს არაფერს ვიტყვი.

მოახლე - ბერნარდას ჰგონია , რომ ყველაზე ძლიერია , ვერავინ მოერევა . ნუთუ არ ესმის , რომ უკაცო ქალებში (მარტოხელა ქალებში) კაცს დიდი ძალა აქვს .

პონსია - მარტო ბოშა პეპე არ არის დამნაშავე . შარშან მთელი წელიწადი ადელას დასდევდა , ადელაც გიჟდებოდა მისთვის , ეხლა მაინც უნდა აიყვანოს თავი ხელში , არუნდა გაეპრანჭოს . კაცი მაინც კაცია.

მოახლე - ასე ამბობენ , რომ ხშირად ელაპარაკება

პონსია - მართალია , აქ კიდევ ბევრი რამ მოხდება .

მოახლე - რამე ცუდი არ მოხდეს .

პონსია - ნეტავი ზღვის გაღმა წამიყვანა და ამ წყეულ სახლზე არაფერი გამაგებინა , სადაც მზად არიან ერთმანეთი დაჭამონ.

მოახლე - ბერნარდა ქორწილს ჩქარობს . იქნებ არაფერი არ მოხდეს .

პონსია - საქმე უფრო რთულადაა, ადელა ყველაფერზეა წამსვლელი. თუმცა დები თვალს არ აშორებენ.

მოახლე - მარტირიოც?!

პონსია - ყველაზე მეტად. ხედავს პეპე არ შეეფერება და ბოღმისაგან მზადაა ყველა დაახრჩოს.

მოახლე - უუუჰ , ალქაჯია, გრძნეული კუდიანები.

პონსია - უკაცო ქალები არიან . ეს ისეთი რამაა, სისხლსა და ხორცს დაგავიწყებს. სსსსს ჩუმად ... [მიაყურადებს]

მოახლე - რა არის ?

პონსია - ძაღლები ყეფენ . [დგება]

მოახლე - ალბათ ვინმემ ჭიშკართან ჩაიარა . [შემოდის ადელა საღამურში]

პონსია - ჯერ არ დაწოლილხარ?!

ადელა - მწყურია . [იღებს ჭიქას და სვამს]

პონსია - მე მეგონა გეძინა .

ადელა - წყურვილმა გამაღვიძა . თქვენ რატომ არ წვებით?

მოახლე - ვწვებით. [ადელა გადის]

პონსია - წამოდი.

მოახლე - დავიმსახურეთ დასვენება. მთელი დღის მანძილზე ბენარდა დაჯდომას არ მაცლის.

პონსია - ლამფა აიღე.

მოახლე - ძაღლები დაწყდნენ ყეფით.

პონსია - აღარ დაგვაძინებენ. [გადიან , თითქმის სიბნელეა. ჩუმად შემოდის ადელა , აქეთ იქით იხედება და გადის ოთახში . მეორე კარიდან შემოდის მარტირიო საღამურში , შავი შალით. შემოდის მარია-ხოსეფა თოჯინით ხელში]

მატირიო - ბებო , სად მიდიხარ?

მარია-ხოს. - კარს ხომ გამიღებ ? რომელი ხარ ?

მარტირიო- აქ საიდან გაჩნდი ?

მარია-ხოს .- გამოვიპარე. შენ რომელი ხარ?

მარტირიო - წადი , დაწექი.

მარია-ხოს. - შენ მარტირიო ხარ , მე გიცნობ მარტირიო . სახით მარტირიოს გავხარ. შვილი როდის უნდა გააჩინო? აი მე ეს გავაჩინე.

მარტირიო - სად იპოვე ეს თოჯინა?

მარია-ხოს. - გგონია არვიცი, რომ თოჯინაა? მაგრამ რატომ არ შეიძლება, რომ თოჯინა ჩემი შვილი იყოს? სჯობს თოჯინა შობო, ვიდრე არაფერი. ჩვენი ბერნარდა წააგავს აფთარს და მაგდალენა კი გიენას.

მარტირიო- ნუ ყვირი .

მარია-ხოს- მართალია , ყვირილი საჭირო არ არის . აქ ისე ბნელა.... შენ გგონია , რადგან ჭაღარა თმა მაქვს არ შემიძლია შილი ვშობო? შემიძლია, ბავშვი ვშობო. ბავშვი და კიდევ ბავშვი, და იმ ბავშვსაც ჭაღარა თმა ექნება და ისინიც ბავშვს შობავს , ისიც კიდევ სხვა ბავშვს და ყველას ექნება თოვლივით თეთრი თმა და ჩვენ ვიქნებით ტალღებივით..... ერთი ტალღა, მეორე , მესამე და მერე ყველანი ერთად დავსხდებით და ჩვენი თმები ერთად აირევა და გავხდებით ზღვის ქაფივით... რატომ არ არის აქ თეთრი ქაფი? რატომ არის აქ ყველაფერი შავად მოსილი?

მარტირიო- კარგი, გაჩუმდი!

მარია-ხოს- როცა ჩემმა მეზობელმა შვილი გააჩინა, მე მასთან შოკოლადი მიმქონდა ხოლმე.. მერე მე ვშობე და ახლა იმას მოჰქონდა ჩემთან შოკოლადი... და ასე იყო ყოველთვის... ყოველთის, ყოველთვის... შენც გექნება ჭაღარა თმა , მაგრამ მეზობლები არ მოვლენ შენთან... მე ქუჩაში მინდა მაგრამ ძაღლების მეშინია, მიკბენენ... გამაცილებ ქუჩაში? ქუჩაში მინდა !!! მიყვარს გაშლილი მინდვრები, სახლებიც მიყვარს, მინდა დავინახო სახლები, სადაც ხალხისგან არ იკეტებიან და დიასახლისს ტკბილად სძინავს ბავშვებთან ერთად. სახლის პატრონი კი ეზოში ისვენებს. ბოშა პეპე გოლიათია . თქვენ ყველანი შეყვარებული ხართ ბოშა პეპეზე, მაგრამ ის თქვენ ყველას შეგჭამთ, რადგან თქვენ ხორბლის მარცვლები ხართ... არა,ხორბლის მარცვლები კი არა უენო ბაყაყები ხართ!

მარტირიო- ბებო გეყოფა! წადი , დაწექი!

მარია-ხოს- კარგი, მაგრამ კარს ვინ გამიღებს? გამიღე რა.

მარტირიო- აუცილებლად. წადი!

მარია-ხოსეფა- სჯობს თოჯინა შობო ვიდრე არაფერი. რატომ არ არის აქ ზღვის თეთრი ქაფი, რატომ არის აქ ყველაფერი შავად მოსილი? [მარია-ხოსეფა გადის . მარტირიო ეზოს კარს უახლოვდება, ჩერდება]

მარტირიო - ადელა, ადელა [შემოდის ადელა გაწეწილი]

ადელა - რატომ დამსდევ?!

მარტირიო - თავი გაანებე.

ადელა- შენ ვინ ხარ მაგას რომ მეუბნები?

მარტირიო - წესიერი ქალი იმ კაცს არ მიეკარება.

ადელა - როგორ არ მიეკარებოდი რომ შეგეძლოს.

მარტირიო- ის კაცი უსულგულოა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

ადელა - ეს მხოლოდ დასაწყისია, მე მეყო ძალა ის ჩამედინა რაც მინდოდა, აი შენ კი ეს ვერ გაბედე.მე ამ ჭერქვეშ ცოცხლად ვკვდებოდი, ხოდა ეხლა გამოვძვერი და მინდა ვიცხოვრო ისე როგორც მეკუთვნის.

მარტირიო - ის უგულო შენთვის არ მოსულა ამ სახლში ის სხვის წასაყვანად მოვიდა (სხვა ყავს დანიშნული) შენ კი გადაეღობე

ადელა - ჰო,ფულისთვის მოვიდა. მაგრამ მე შევუყვარდი.

მარტირიო - ნებას არ მოგცემ ის ანგუსტიასს წაართვა. ცოლად მოყავს არ გესმის?!

ადელა - უკვე იცი რომ პეპეს ის არ უყვარს.

მარტირიო - ვიცი.

ადელა - იცი იმიტომ რომ შენი თვალით ნახე როგორ ვუყვარვარ.

მარტირიო - ვნახე.

ადელა - მას მე ვუყვარვარ! მას მე ვუყვარვარ! (თან უახლოვდება)

მარტირიო - გაჩუმდი! გაჩუმდი! ჯობია მომკლა ვიდრე ეგ მიმეორო

ადელა - შენ გირჩევნია პეპე იმასთან იყოს ვინც არ უყვარს.მაშინ მშვიდად იქნები. ჩემთვისაც სულერთია, თუნდაც ასი წელი იცხოვროს ანგუსტიასთან, ოღონდ მე მეხვეოდეს, შენ არ გინდა რომ ის მე მეხვეოდეს. შენთვის ეს ბასრი დანის დაკვრას ნიშნავს, იმიტომ რომ შენც გიყვარს. გიყვარს!...

მარტირიო - ხო მიყვარს... მიყვარს!

ადელა - მარტირიო ჩემი ბრალი არ არის.

მარტირიო - ნუ მეხვევი! მე და შენ უცხონი ვართ ! შენ არ ხარ ჩემი და. შენ ჩემთვის ხარ ქალი და ჩემი მეტოქე.

ადელა - ვიცი ერთმა უნდა დათმოს, ბოშა პეპე ჩემია! მე ყოველ ღამე ვეტმასნები მის სხეულს, მდინარის პირას, ბალახებში...

მარტირიო - არა ! არა! ეს არ მოხდება ! შეუძლებელია.

ადელა -მას შემდეგ რაც ერთად ვართ, ეს სახლი ჩემთვის აუტანელი გახდა,მე ვიქნები ის ვისაც პეპე მოინდომებს თუნდაც ამიმხედრდეს მთელი სოფელი. გავხდე თითით საჩვენებელი. მლანძღოს ყველამ ვინც თავს პატიოსან ადამიანად თვლის, მე თავზე ეკლიან გვირგვინს დავიდგავ. და უსიტყვოდ ვზიდავ ჩემს მძიმე ჯვარს. ისევე როგორც ის ქალები ცოლიანი მამაკაცების საყვარლები რომ ხდებიან ხოლმე.

მარტირიო - გაჩუმდი! გაჩუმდი!

ადელა - სულ ერთი არ არის შეირთავს ანგუსტიას თუ არა?! წამოდი დაიძინე.(აწყნარებს ეფერება) მე ვიცხოვრებ სულ მარტო პატარა ქოხში და ის მოვა ჩემთან როცა მოესურვება.

მარტირიო - ეს არ მოხდება სანამ ცოცხალი ვარ.

ადელა - შენ სუსტ ქალს კიარა, ურჩხულსაც კი დავაჩოქებ.

მარტირიო - არა ნუ მელაპარაკები. მოთმინებიდან ნუ გამოგყავარ. სიმწრისგან ისე ვდუღვარ, ვიხრჩობი და ყველაფერს ვიკადრებ.

ადელა - გვასწავლიან დები უნდა გიყვარდეთო. მაგრამ ეტყობა ღმერთმა მიმატოვა. თითქოს პირველად გხედავ.

[ისმის შტვენის ხმა]

[ადელა კარისკენ გარბის,მარტირიო ეღობება]

მარტირიო - სად მიდიხართ?

ადელა - გაიწიე!

მარტირიო - აბა გაბედე?!

ადელა - თავი დამანებე! თავი გამანებე! გამიშვი.

[ჩხუბობენ]

[მარტირიო ყვირის]

მარტირიო - დედა ! დედა!

[ბერნარდა პერანგში შავი შალით]

ბერნარდა - რა ხდება აქ? გეყოფათ, გეყოფათ

მარტირიო - იმასთან გარბის!

ბერნარდა- შე პირუტყვო! მეეძავო, ბოზო! [უახლოვდება]

ადელა- ფეხი არ გადმოადგათ! გეყოფათ ყვირილი! [ართმევს ჯოხს და ტეხავს] მორჩა შენი ძალაუფლება! არავის ვემორჩილები პეპეს გარდა!

მაგდალენა - ადელა! [შემოდის პონსია და ანგუსტიასი]

ადელა - მე მისი ცოლი ვარ! მე, მისი ცოლი ვარ! გესმის?! [ანგუსტიასს] შედი თავლაში და უთხარი რომ ყველაფერი იცი! ის იქ არის ლომივით ძლიერი!

ანგუასტიასი - ღმერთო ჩემო!

ბერნარდა - თოფი სად არის, ჩემი თოფი?! [გარბის მიყვება მარტირიო]

ადელა - ვერავინ დამიმორჩილებს! [შემოდის ამელია]

ანგუსტიასი - [ხელს წაავლებს] არა, გამარჯვებული ვერ წახვალ აქედან! ქურდო! უსირცხვილო!

მაგდალენა - გაუშვი, წავიდეს. სადაც უნდა წავიდეს. წადი! წადი, ადელა! წადი და აღარ დაბრუნდე!

[ისმის სროლა]

ბერნარდა - [შემოდის] წადი ეხლა და ეძებე!

მარტირიო - მორჩა! აღარ არის ბოშა პეპე!

ადელა - პეპე, ღმერთო არა, პეპე! [გარბის]

პონსია - მოჰკალი?!

მარტირიო - არა, ცხენს შეახტა და გაქრა!

ბერნარდა - ჩემი რა ბრალია, ქალებს არ აქვთ კარგი მიზანი.

მაგდალენა - რატომ სთქვი აღარ არისო, რატომ?!

მარტირიო - ეგონოს რომ მოკვდა.

პონსია - დაწყევლილო!

მაგდალენა - შეშლილო!

ბერნარდა - ასე აჯობებს! [ისმის ბრახუნის ხმა] ადელა! ადელა! [პონსია მიდის კართან]

პონსია - გააღე!

ბერნარდა - გააღე! ნუ გგონია კედლები დაგიფარავენ სირცხვილისგან! ადელა ! გააღე!

[შემოდის მოახლე]

მოახლე - მეზობლებმა გაიღვიძეს.

ბერნარდა - [ხავის] გააღე თორემ კარს შემოვამტვრევ! [სიჩუმე ჩამოვარდება] ადელა!, ნაჯახი მოიტანეთ!

[პონსია ამტვრევს კარს, შედის , ყვირის და მაშინვე გამოდის]

ბერნარდა - რა ხდება?!

პონსია - ღმერთო დაგვიფარე.

[დები უკან იხევენ, მოახლე პირჯვარს იწერს, ბერნარდა ყვირის და კართან მიდის]

პონსია - არ შეხვიდე!

ბერნარდა - არ შევალ! არა, არა ოღონდ მე არა! პეპე ახლა მიქრიხარ ცხენით, მაგრამ ვერ გადამირჩები! შურს ვიძიებ!

თოკი გადაჭერით! ჩამოხსენით! ჩემი გოგო უმანკო მოკვდა! თეთრად შემოსეთ როგორც ქალწული! გათენებისას ეკლესიებში რეკონ ზარები!

მარტირიო - ბედნიერია, პეპეს უყვარდა. ბედნიერია!

ბერნარდა - გიბრძანებთ, გაჩუმდეთ, არავინ უნდა დაინახოს თქვენი ცრემლები! სიკვდილს თვალებში უნდა ჩავხედოთ! მწუხარების ზღვამ უნდა გვშთანთქოს!ნუ ტირით! იტირებთ მაშინ როცა მარტო დარჩებით. ბერნარდა ალბას ქალიშვილი უმანკო მოკვდა! გესმით?! უმანკო! ვბრძანებ! სიჩუმე! სიჩუმე! სიჩუმე!